ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

21 მარტიდან
100 ლექსი
ლადო ასათიანი
საქართველოში
„ახალ თაობასთან" ერთად
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




სამშაბათი, 22 მარტი, 2016 №68 (6994) ფასი: 50 თეთრი

# რატომ სთხოვს დეპუტატებს ივანიშვილი სასწრაფოდ ფულის მიტანას


გვ.3







## „თოფაძე და ტყემალაძე განცხადებას ისე არ აკეთებენ, ხეირი რომ არ ნახონ"

## ზურაბ აბაშიძე: „საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რაზე საუბრობენ აბაშიძე და კარასინი"


გვ.2






გვ.4

შალვა ხაჭაპურიძე: „ასე თუ გაგრძელდა, სიგიჟემდე მივალთ"

## „ნაციონალები ხელისუფლებას ამ კადრებით აშანტაჟებენ"



## თაღლითობა სუს-ის უფროსის მოადგილის სახელით — ანტიკორუფციულმა სააგენტომ ორი პირი დააკავა


გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## რომში ცხინვალის წარმომადგენლობა გაიხსნა


გვ.3

მაურო მურჯა ზეიმობს, კახა სიხარულიძე უარყოფს


გვ.5

## სოსო შატბერაშვილი: „პრეზიდენტს ვურჩევ, რუსეთის ხელისუფლებას დეოკუპაციაზე დაელაპარაკოს"

## ტექნოლოგიურმა პროგრესმა მსოფლიოს მასშტაბით სპეცსამსახურების შესაძლებლობებს გაუსწრო


გვ.5

რატომაა რთული კიბერდანაშაულის გამოძიება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ზურაბ აბაშიძე: „საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რაზე საუბრობენ აბაშიძე და კარასინი“

ნათია ხურცილავა







თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატის ფორმალიზება არის საჭირო და იმ დღის წესრიგის ზუსტად გაწერა, რაზეც ისაუბრებენ აბაშიძე და კარასინი პრაღაში.

**ზურაბ აბაშიძე:**

– ამ ფორმატის შექმნა თავის დროზე მნიშვნელოვანი იყო. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა შემოგვთავაზა ეს ფორმატი და ჩვენ დავთანხმდით. ეს ფორმატი შეიქმნა სავაჭრო-ეკონომიკური, საჰაერო მიმოსვლის, კულტურული ურთიერთობების, ჰუმანიტარული საკითხების გადასაჭრელად. ამ ფორმატში სწორედ ეს საკითხები განიხილებოდა და ეს ვიცოდით ჩვენ, მაგრამ მისი ფორმალიზება არასდროს მომხდარა. არ გაწერილა, თუ რაზე საუბრობს ბატონი აბაშიძე კარასინთან.

ეს არის არაოფიციალური ფორმატი. რუსეთთან მოლაპარაკებების ოფიციალური ფორმატი არის ჟენევის მოლაპარაკებების მრავალმხრივი ფორმატი, რომელიც ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების მონაწილეობით მიმდინარეობს.

***– დღეს ხედავთ ამ ფორმატის აუცილებლობას თუ აბაშიძემ ამოწურა თავისი შესაძლებლობები?***

– ჩვენ არ გვითქვამს, რომ ეს ფორმატი გასაუქმებელია, მაგრამ მისი ფორმალიზება უნდა მოხდეს. უნდა გაიწეროს, რაზე საუბრობს ბატონი აბაშიძე და რაზე არა, რომ არ დავზიანდეთ ამ პროცესში. ბატონი ზურაბის დიპლომატიურ გამოცდილებასა და კვალიფიკაციაში ძალიან გამიჭირდება, რომ ეჭვი შევიტანო. ის ერთ-ერთი გამოცდილი დიპლომატია და რუსეთთან ურთიერთობების საკითხები მისი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციაში გადავედით, არაერთხელ დავაყენეთ საკითხი, რომ აუცილებელია, მოვახდინოთ ამ ფორმატის ფორმალიზება. მით უფრო, როდესაც პუტინმა კარასინს ახალი თანამდებობა მისცა.

***– კარასინის ბოლო განცხადებებმა დაგვიტოვა განცდა, რომ ეს ფორმატი საუბრობს არა მხოლოდ ჰუმანიტარულ საკითხებზე, არამედ პოლიტიკურ საკითხებზეც. მაგალითად, იმაზე, თუ როგორი რიტორიკა ექნება საქართველოს მინისტრთა კაბინეტს რუსეთთან დაკავშირებით.***

– დიახ. სწორედ ეს განცდა მრჩება, რომ ასეა. შეიძლება არაფორმალურ ვითარებაში ხდება მსგავსი საუბრები, მაგრამ ოფიციალური პირია კარასინიც და ოფიციალური პირია აბაშიძეც და მათი არაოფიციალური საუბრები შემდეგ საჯარო სივრცეში არ უნდა ხვდებოდეს, მით უფრო, მათი განხილვები. ეს ფორმატი ამის შესაძლებლობებს არ იძლევა.

***– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მისი წარმომადგენელი სხვა ტიპის მესიჯს მიიტანდა კარასინამდე და სხვა პასუხს გასცემდა. როგორ ფიქრობთ, რითი იყო კარასინის განცხადებები განპირობებული?***

– ეს იყო დავალება პუტინის მხრიდან და ეს დავალება შეასრულა კარასინმა. ეს არის რუსეთის ხელისუფლების პოზიცია.

***– წინასაარჩევნოდ შეიძლება კარასინის ამ განცხადებას უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდეს? რუსეთის მიმართ მკვეთრი განცხადებები არ კეთდება.***

– კოალიცია დღეს დაშლის პირას არის და სრულიად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები კეთდება რუსეთის მიმართ. თუმცა, ფაქტია, რომ რუსეთს პროდასავლური ძალები აფრთხობს. ჩემთვის სრულიად მიუღებელია, მაგრამ საქართველოში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც რუსეთის მიმართ ღია სენტიმენტებს გამოხატავენ.

***– შეხვედრა უნდა იყოს თუ არა პირველი პირების დონეზე, ამ საკითხზე თქვენი პარტიის პოზიცია როგორია? როდესაც ჯანელიძისა და ლავროვის შესაძლო შეხვედრაზე ითქვა, უმრავლესობაში თქვეს, რომ ლავროვთან შესახვედრად ჯანელიძე მზად არ არის.***

– ეს იყო სრულიად მიუღებელი პოზიცია, რადგან ერთი კვირის წინ ჯანელიძისთვის ამ უმრავლესობას მხარი ჰქონდა დაჭერილი პარლამენტში, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრისთვის. კერისთან შესახვედრად თუ იყო მზად, ლავროვთან შესახვედრად რატომ ვერ იქნება?! ეს არის კიდევ ერთი გამოხატულება ამ ხელისუფლების წარმომადგენლების არაადეკვატურობის.

რაც შეეხება უმაღლეს დონეზე შეხვედრას, ამას სჭირდება მყარი საფუძველი, რაზე უნდა შედგეს შეხვედრა, რა უნდა იყოს მოლაპარაკების მთავარი საკითხები. 40 კილომეტრში რუსეთის ჯარები დგას, გადის ეს ჯარი? როდის? როგორ? როდის წაიღებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას? ამ საკითხებზე უნდა ვისაუბროთ და უნდა იყოს შეხვედრა. აქცენტი იმაზე უნდა გაკეთდეს, რა შედეგს მივიღებთ ამ შეხვედრიდან, რომ კიდევ უფრო დაზიანებული არ გამოვიდეს ჩვენი ხელისუფლება. თორემ არიან პოლიტიკოსები, რომლებიც დადიან რუსეთში და ფეხქვეშ ეგებიან რუსეთის ხელისუფლებას, მაგრამ, რა? ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს ძალები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში.

## ზურაბ აბაშიძე: „კარასინისთვის მყისიერად პასუხის გაცემის საშუალება არ მქონდა“



საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებას, სადაც მან აბაშიძე-კარასინის შეხვედრის ფორმატი გააკრიტიკა, ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა.

დიპლომატის თქმით, პრეზიდენტი განცხადების გაკეთების დროს არა რუსულ, არამედ ქართულ წყაროს უნდა დაყრდნობოდა.

– მართალი გითხრათ, მე გაოცებული დავრჩი. განვმარტავ, რა მაქვს მხედველობაში. სანამ პრაღაში წავიდოდი, მე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი პრეზიდენტის მრჩეველს, რომელთანაც ყველა ის საკითხი, რომლის განხილვასაც ვაპირებდით პრაღაში, დეტალურად გავიარეთ.

ძალიან ვწუხვარ, რომ ამ შეხვედრაზე და კერძოდ, კარასინის ცნობილ განცხადებებზე საუბრისას პრეზიდენტი დაეყრდნო არა ქართული დელეგაციის ინფორმაციას, არამედ რუსულ წყაროებს.

მას ან მის წარმომადგენლებს ჩვენი ინფორმაციისთვის რომ მოესმინათ, მე მათ ავუხსნიდი, რომ მაშინ, როდესაც კარასინმა პრაღაში თავის ცნობილი განცხადება გააკეთა შეხვედრამდე, მე იმ ადგილას ფიზიკურად არ ვიყავი და ამ განცხადებების შესახებ მოგვიანებით შევიტყვე. ამგვარად, მე არ მქონდა საშუალება, რუსი კოლეგისთვის მყისიერად პასუხი გამეცა.

თუ რა ვისაუბრეთ ჩვენ ორმხრივ შეხვედრაზე, რა პასუხი გავეცი მას ან რა კომენტარი გაკეთდა ჩემი მხრიდან, ეს მოხსენებით ბარათში დეტალურადაა ასახული და სიტყვიერადაც შემეძლო მომეხსენებინა.

სხვა საქმეა, რომ კარასინის ადგილას მე ასე არ მოვიქცეოდი და ამგვარ განცხადებას კოლეგის თანდასწრებით ვარჩევდი. ამის თაობაზე მე აუცილებლად მექნება მასთან საუბარი.

მან ისაუბრა ანტირუსული განწყობილების ზრდაზე საქართველოში და მე მას პასუხი გავეცი იმ სტილში, რაც უკვე მოგახსენეთ და რაც საჯაროდ განვაცხადე. ჩვენ კრიტიკას ვერავინ აგვიკრძალავს. ჩვენ პირს ვერავის ამოვუკერავთ. ვერც ერთი ქვეყნის მიმართ კრიტიკას ვერ შევაჩერებთ, რაოდენ მწვავეც არ უნდა იყოს ეს. ბუნებრივია, კრიტიკა უნდა იყოს კორექტული და არა შეურაცხმყოფელი.

ჩემი და კარასინის დიალოგი არ ნიშნავს, რომ საქართველო რაღაც კომპრომისებზე უნდა წავიდეს სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, რომელიც მან აბაშიძე-კარასინის ბოლო შეხვედრის შეფასებისას გააკეთა, ისეთი ტიპის განცხადებებს, როგორიც კარასინმა გააკეთა, უნდა ჰყავდეს ადეკვატური პასუხის გამცემი, პრაღის ფორმატშივე.

– ის არის პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენელი. მე რომ მყავდეს წარმომადგენელი, ის სხვა ტიპის პასუხს გასცემდა და სხვა ტიპის მესიჯს მიიტანდა კარასინამდე, – აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი: „იაცენიუკს ჰგონია, რომ უკრაინაში მის შემცვლელად მოვედი“




საქართველოს ექსპრეზიდენტისა და ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, როდესაც ის უკრაინაში სამუშაოდ წავიდა, მასა და პრეზიდენტ პოროშენკოს შორის არანაირი გარიგება არ მომხდარა.

ამის შესახებ სააკაშვილმა გერმანულ გამოცემა „Die Zeit“-ან ინტერვიუში განაცხადა.

– არანაირი გარიგება არ მომხდარა. იგი ჩემში პარტნიორს ხედავდა უკრაინაში რეფორმების განხორციელების სფეროში. მე შემიძლია პრეზიდენტს ვუთხრა, თუ რა არის საჭირო რეფორმების პროცესის დაჩქარებისათვის. აი, ეს იყო ჩვენი გარიგება. პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი კი ჩემში თავიდანვე მოწინააღმდეგეს ხედავდა – მას ჰგონია, რომ უკრაინაში მის შემცვლელად მოვედი. მან ამ შიშის დათრგუნვა და გადალახვა ვერ მოახერხა.

საერთოდ კი, არსენ იაცენიუკის დრო დასრულდა. გარედან, უცხოეთიდან მისი მუშაობა თითქოს დადებითადაა შეფასებული – მთავრობის საქმიანობა საერთაშორისო სავალუტო ფონდს მოსწონს. სტრუქტურული ცვლილებები მოახდინა, რომ ბევრი კრედიტი მიეღო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ უკრაინელებმა მთავრობისა და ხელისუფლებისადმი ნდობა დაკარგეს. მათ ბევრი ითმინეს, დაიტანჯნენ. უკრაინელებს იმედი გაუცრუვდათ – მათ ვერ გაუგიათ, როგორ შეუძლია არსენ იაცენიუკს იმის თქმა, რომ ქვეყანაში ყველაფერი წესრიგშია? ამიტომაცაა, რომ მთავრობის რეიტინგი ერთ პროცენტზე ქვემოთ დაეცა, – აცხადებს სააკაშვილი.

ნიუსპრესი

## პროკურატურამ საგარეჯოს არჩევნებზე გამოძიება შეწყვიტა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საგარეჯოში ჩატარებული შუალედური საპარლამენტო არჩევნების დროს სხვადასხვა საჯარო მოხელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაასრულა, სადაც შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2016 წლის 25 თებერვალს დაიწყო გამოძიება საჯარო მოხელეების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით, რომელსაც საფუძვლად დაედო განცხადებები, რომლებიც ეხებოდა საგარეჯოში 2015 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული შუალედური საპარლამენტო არჩევნების დროს საჯარო მოხელეების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტებს.

საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, დაიკითხა 30-მდე მოწმე, მათ შორის საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი იქნა სრული ინფორმაცია საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით, ასევე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხსენებული არჩევნების შედეგების კანონიერებასთან დაკავშირებით.

ჩატარებული გამოძიების შედეგად, საგარეჯოში ჩატარებული შუალედური საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, საჯარო მოხელეების მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა, რის გამოც საქართველოს პროკურატურამ საქმეზე გამოძიება შეწყვიტა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ სთხოვს დეპუტატებს ივანიშვილი სასწრაფოდ ფულის მიტანას

## „თოფაძე და ტყემალაძე განცხადებას ისე არ აკეთებენ, ხეირი რომ არ ნახონ“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ მისცა „ქართული ოცნების“ დეპუტატებს ვაკეში მრავალსართულიანი კორპუსების აშენების უფლება, რატომ სთხოვს დეპუტატებს ივანიშვილი ვალების დაბრუნებას, რას უპირებენ ზურაბ ტყემალაძეს – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე გივი კუბლაშვილი ესაუბრება.

**გივი კუბლაშვილი:**

– ქვეყანაში ელიტური კორუფცია ყვავის. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტები, რომლებიც ამ დღეებში გავასაჯაროვეთ. დეპუტატებს შოთა ხაბარელს და ზურაბ ტყემალაძეს კორპუსების აშენებაზე მერიამ ნებართვა მისცა. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ მერია, საკრებულოს და პარლამენტის დეპუტატები ერთმანეთში არიან გარიგებული.

დეპუტატების მიდრეკილება სამშენებლო ბიზნესისადმი გასაკვირი არ არის, მაგრამ კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატის შოთა ხაბარელის ისტორია განსხვავებულია. ეს პიროვნება ძალიან ჩქარობს ბიძინა ივანიშვილისთვის ვალის დაბრუნებას.

ხაბარელს ტერიტორია, სადაც ადრე რესტორანი „შობა“ იყო და ახლა 19 სართულიანი კორპუსის აშენებას აპირებს, „ქართუ ბანკში“ ჰქონდა იპოთეკით დატვირთული. კრწანისის მაჟორიტარი განმარტავს, რომ ცათამბჯენის მშენებლობა მხოლოდ იმიტომ წამოიწყო, რომ ბანკის ვალი დაფაროს. ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა იმის გარკვევაა, რატომ მოუწია ამ ადამიანს ასე სასწრაფოდ ბიძინა ივანიშვილისთვის ვალის დაბრუნება.

***– თქვენი აზრით, საეჭვოა, ადამიანი ვალის დაბრუნებას თუ მოითხოვს?***

– როცა საქმე ივანიშვილს ეხება, იქ საქმე ასე უბრალოდ არ არის. ძალიან საინტერესოა იმის გარკვევა, რა ხდება ოლიმპოს მთაზე და რა განზრახვა აქვს შპს „საქართველოს“ დირექტორ ივანიშვილს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ მშენებლობის უკან შესაძლოა ის იდგეს?***

– არა, ამხელა პანორამას შეჭიდებული კაცი ასეთ წვრილმანებს როგორ შეეჭიდება. რატომღაც გვიჩნდება ეჭვი, რომ ივანიშვილი იბარებს დეპუტატებს ან მათთან წარმომადგენელს გზავნის და მათგან ვალის დაბრუნებას ითხოვს. „ქართუ ბანკიდან“ ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს აქვს კრედიტი გამოტანილი.



გივი კუბლაშვილი

აქ ორი რამე შეიძლება ხდებოდეს, ის ან იმ ადამიანებს იცილებს თავიდან, ვისგანაც ვალის დაბრუნება მოითხოვა. ანდა ყველას მოატანინებს უკან ფულს, შემდეგ ადგება და აქედან წავა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ივანიშვილი სადმე აპირებს წასვლას?***

– ეს ადამიანი არსად არ აპირებს წასვლას. ის ვალებს დაიბრუნებს და ამ ადამიანებს დაემშვიდობება. ის მომავალ არჩევნებზე ახალი გუნდით აპირებს წარდგომას და აღარ სურს, ძველებთან რაიმე კავშირი ჰქონდეს.

***– სიაში თუ არ ჩასვამს, ამათგან ფულს ვეღარ დაიბრუნებს?***

– ზედმეტ გართულებებს ერიდება და წინასწარ აგვარებს ამ პრობლემებს. ოლიგარქის და დეპუტატების ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე მთელი ქვეყანა, განსაკუთრებით კი თბილისის მოსახლეობა ზარალდება.

ასე თუ გაგრძელდა მშენებლობებზე ნებართვების გაცემა, ძალიან მალე თბილისში სარეკრეაციო ზოლი და სკვერები აღარ იქნება. წინა მთავრობის დროსაც იყო ეს პრობლემა. არ არსებობდა ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა. არავინ ფიქრობს გამწვანებული ზოლის შენარჩუნებაზე.

ამაზე დავით ნარმანიამ უნდა იფიქროს, მაგრამ მას არ აინტერესებს. ის მარიონეტების კორუფციულ თეატრში მთავარი როლის შემსრულებლად იქცა. ლაშა აბაშიძე ხელს უწყობს და აშკარად ცდილობს ნარმანიას დაკნინებას. ისიც ყველამ კარგად ვიცით, რომ თბილისს ამჟამად მერი არ ჰყავს.

***– აბა ნარმანია ვინ არის?***

– არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ნარმანიას სახით თბილისს ჰყავს მდგმური, რომელსაც სხვა მართავს. ნარმანია თავადაც აღიარებს, რომ არ იცის, რა დოკუმენტებზე აწერს ხელს. ამბობს, იმდენი განცხადება შემოდის ხელმოსაწერად, ყველას ვერ გადავხედავო. ვიცე-მერს და საქალაქო სამსახურის უფროსებსაც შეაქვთ ქაღალდები და ნარმანიაც აწერს და აწერს ხელს.



***– ასე რატომ იქცევა?***

– დავალება აქვს ასეთი. ეს ყველაფერი ბიძინასაც მოსწონს და ამისიც რა მიდის.

***– ნარმანიას შევეშვათ და ისევ შოთა ხაბარელის ამბავს დავუბრუნდეთ. ადამიანი ამბობს, რომ ბანკის ვალი აქვს დასაბრუნებელი. თუ ვალი აქვს, ამხელა კორპუსი როგორ უნდა ააშენოს?***

– ეს ამბავი ძალიან სასაცილო და იმავდროულად საინტერესოა. კრწანისის მაჟორიტარი გვეუბნება, რომ დასჭირდა ფული და მან ჩადო ბანკში ეს ტერიტორია. იმისთვის, რომ ეს ფული უკან დააბრუნოს, იწყებს მშენებლობას. ცათამბჯენის აშენებას დიდი ფული სჭირდება. მან ან ინვესტორი უნდა ნახოს და მიწა გაყიდოს, ან ვიღაცას გაურიგდა და უთხრა, ამაში ფული ჩადე და იმხელა კორპუსს ააშენებ, რამხელასაც შენ მოისურვებო, ან თავად აკეთებს ამას და იტყუება, რომ გაუჭირდა.

სულ სხვანაირი ისტორია გვაქვს ზურაბ ტყემალაძესთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. მთელმა თბილისმა იცის, რომ ტერიტორია, სადაც 8 სართულიანი კორპუსი უნდა აშენდეს, არის მისი. კომენტარზე მისულ ჟურნალისტებს კი ეუბნება, არაფერი ვიციო. გამოდის, რომ თავად აღიარებს – იქ რაღაც კორუფციული გარიგებაა.

მამა-შვილი ტყემალაძეები ლამის ყველაფერს მოაჯდნენ. მამა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეა, ხოლო შვილი დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ. ისინი ამ გავლენებით ცდილობენ, პირად კეთილდღეობაზე იზრუნონ. ახლა მზიურის შესასვლელთან მოინდომეს კორპუსის აშენება და აშენებენ კიდეც.

ბოდიში მომითხოვია ამ გამოთქმისთვის, მაგრამ მათ სულ ფეხებზე ჰკიდიათ, დაიჩრდილება თუ არა მზიური. არც ის აინტერესებთ, ბავშვებს სამშენებლო მტვრის ჩასუნთქვა რომ მოუწევთ.

სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ აქაც ბიზნესგარიგებაა და მამა-შვილი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მიიღონ, სანამ ხელისუფლებაში არიან. მოსწრებაზე არიან გადასული.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ მომავალ პარლამენტსა და საკრებულოში ვეღარ მოხვდებიან. აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილი სულ ახალი გუნდით აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. ან კიდევ უარესი რამ ხდება, რასაც ვნახავთ.

***– ივანიშვილს თუ ამათი მოშორება უნდა, მაშინ რატომ მისცა ამ ადამიანებს ასეთი რამის გაკეთების უფლება?***

– შპს „საქართველოს“ დირექტორი ასეთ წვრილმანებში ალბათ არ ჩაერევა. შესაძლოა, არც კი იცის ამის შესახებ. ის საკითხით მხოლოდ იმ შემთხვევაში ინტერესდება, თუ პირადად შეეხებიან. მისი მართული თოჯინები თავისთვის თუ რაღაცას გააკეთებენ, პრობლემა არ აქვს, მთავარია, მის პანორამას არავინ შეეხოს.

ამხელა კორპუსს აშენებინებენ მზიურის შესასვლელში და რატომ არ დათანხმდებოდნენ მამა-შვილი პანორამის აშენებას? მოაწერეს ხელი და ივანიშვილმაც დახუჭა რაღაცაზე თვალი.

მის გარემოცვაში შემთხვევით არავინ არაფერს აკეთებს. გინდა გოგი თოფაძე ავიღოთ, კაცი გამოვიდა და რუსეთის მიმართ ბიძინას სათქმელი თქვა. მისმა განცხადებამ ყველა გადარია. საქართველოში, მგონი, არ დარჩა ადამიანი, რომელმაც ამის გამო ფეისბუქზე ერთ-ორი სიტყვით არ მოიხსენია თოფაძე.

***– ამ მოხსენიებებმა, ეტყობა, გაამწარა, კარგა ხანია, არსად გამოჩენილა.***

– დროებით მიიმალა. სანამ გაქრებოდა, თავისი დავალება შეასრულა. ახლა მასაც მისცემენ რაიმე პატარა ლუკმას.

***– მაგასაც მისცემენ სადმე კორპუსის აშენებაზე ნებართვას?***

– არა გამორიცხული. შესაძლოა, უკვე მიცემულიც აქვს. არც ისაა გამორიცხული, ტყემალაძესთან ერთად იყოს საქმეში. წლებია, მათ საერთო ბიზნესინტერესები აქვთ.

ეს ფაქტები სერიოზულ შესწავლას მოითხოვს. ხაბარელის ადგილას მე რომ მომეთხოვა 19 სართულიანი კორპუსის აშენება, ისეთ პასუხს მომწერდა მერია, ქვეყნის მტრად გამომაცხადებდა და საქართველოდან მომიწევდა გაქცევა. ვალებში გადავარდნილ დეპუტატს კი უპრობლემოდ მისცეს ამაზე ნებართვა.

იმას არავინ შეხედა, რომ იქვეა სასწავლო დაწესებულება და იქ ამხელა ნაგებობის აშენება არ შეიძლება. არც ის გაითვალისწინა ვინმემ, რომ ახლო-მახლო ამხელა ნაგებობები არ არის და არც ის ვიცით, გაუძლებს თუ არა ტერიტორია ამხელა დატვირთვას.

# რომში ცხინვალის წარმომადგენლობა გაიხსნა

## მაურო მურჯა ზეიმობს, კახა სიხარულიძე უარყოფს

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალში დიდი საზეიმო განწყობაა. ოსური მედიის მტკიცებით, იტალიის დედაქალაქში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გაიხსნა. სამხრეთელთა მტკიცებით, მარადიულ ქალაქში წარმომადგენლობა მუშაობას 2 აპრილიდან შეუდგება.

ინფორმაცია წარმომადგენლობის გახსნის შესახებ იტალიაში სამხრეთ ოსეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაურო მურჯამაც დაადასტურა. მან ამის შესახებ სამყაროს სოციალური ქსელებითაც ამცნო.

როგორც ოსური მედია გვარწმუნებს, იტალიელებთან მათ სიამტკბილობას რამდენიმეწლიანი ისტორია აქვს.

ყველა გზა რაკი რომში მიდის, სამხრეთელებმაც გადაწყვიტეს იქ წასვლა. პირველი ოფიციალური ვიზიტი 2013 წლის სექტემბრის თვეში შემდგარა.

ცხინვალიდან წასულები რომში რამდენიმე პოლიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს შეხვედრიან. შეხვედრისას მათთვის უთხოვიათ, იქნება თქვენს ხელისუფლებასთან ოფიციალურ დონეზე დაგვამყარებინოთ რაიმე კონტაქტიო.

მთავრობასთან კონტაქტის დამყარებაზე რა გითხრათ, მაგრამ წარმომადგენლობას, როგორც ჩანს, ხელი გამოჰკრეს.

– 3 წლიანმა მუხლჩაუხრელმა მუშაობამ და ჩვენმა შეუპოვრობამ თავისი შედეგი გამოიღო. სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ იტალიაში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა დაფუძნდა, – აცხადებს მურჯა.

მისი განცხადებით, ამ საქმეში თავისი დიდი წვლილი ადვოკატმა ანდრეა კორსინიმ შეიტანა.

მურჯას თქმით, ამიერიდან იტალიაში მყოფი სამხრეთელები კვალიფიციურ იურიდიულ



დახმარებას უპრობლემოდ მიიღებენ.

– წარმომადგენლობის გახსნით იტალიის იმ მოქალაქეებსაც დავეხმარებით, რომლებსაც სამხრეთ ოსეთში წასვლის სურვილი გაუჩნდებათ. მათ რესპუბლიკის შესახებ ყველა სახის ინფორმაციას მივაწვდით, დავეხმარებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში, – ამბობს სამხრეთელთა ოფიციალური წარმომადგენელი იტალიაში.

მურჯა დარწმუნებულია, რომ წარმომადგენლობის გახსნა მომავალში ხელს შეუწყობს იტალიის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

მისივე ინფორმაციით, წარმომადგენლობა ოფიციალურად 2 აპრილს გაიხსნება. გახსნის ცერემონიალს ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

მანამდე კი შენობაში, სადაც წარმომადგენლობა იქნება, სამხრეთელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. იქ გამოფენილი მხატვრებიც იმედოვნებენ, რომ აპენინებზე მათ დამოუკიდებლობას ცნობენ.

2013 წელს ცხინვალმა და სოხუმმა იტალიასა და სან-მარინოს ოფიციალურად მიმართეს და მათი დამოუკიდებლობის აღიარება ითხოვეს. ოსური მედიის ცნობით, არც ცხინვალს და არც სოხუმს ამ მოთხოვნებზე ოფიციალური პასუხი არ მიუღიათ. მათ არც ჰოს ეუბნებიან და არც არას.

იტალიასთან თანამშრომლობის მხრივ ცხინვალისთვის გასული წელი ნაყოფიერი გამოდგა. ცხინვალი რამდენიმე იტალიურ ქალაქს დაუძმობილდა.

ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ქალაქი ლანუზეი. ამ ორ ქალაქს შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმება 2014 წელს გაფორმდა.

შეთანხმებას ხელი ცხინვალის მერმა ალან ალბოროვმა და ლანუზეის მერმა დევიდ ფერელიმ მოაწერეს.

გასულ წელს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე იტალიელი დეპუტატებიც ალაპარაკდნენ.

შარშან ოქტომბრის დასაწყისში იტალიას სამხრეთელთა პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი ეწვია.

ვიზიტისას ის სეპარატისტული პარტიის „ჩრდილოეთის ლიგის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

ბიბილოვის განცხადებით, იტალიაში ვიზიტისას პარტია „ჩრდილოეთის ლიგის“ თავმჯდომარეს შეხვდა. მატეო სალივანმა მას პირობა მისცა, რომ საკითხს პარლამენტში კენჭისყრაზე დააყენებს, მიუხედავად იმისა, რომ „ჩრდილოეთის ლიგა“ საკანონმდებლო ორგანოში უმცირესობას წარმოადგენს.

– ჩვენ გამოვნახეთ საერთო ენა და ერთიანი ანტიგლობალისტური შეხედულებები. ერთიანი პოზიცია აღმოგვაჩნდა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა და ამ საკითხში ორმაგი სტანდარტის დაუშვებლობის შესახებ, – განაცხადა ბიბილოვმა.

მას შემდეგ იტალიიდან არც ხმა ისმოდა და არც ძახილი. 20 მარტს გვიან საღამოს მურჯამ ოსობას აუწყა, წარმომადგენლობა გავხსენითო.

მურჯას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს საქართველოს ელჩი იტალიაში კახა სიხარულიძე.

ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს და აღნიშნული ინფორმაცია სისულელეა.

– ეს სრული ნონსენსია, რომელიც არ შეიძლება მოხდეს. ამიტომ, ამ საიტებზე გავრცელებულ სისულელეებს ნუ ავყვებით. ოფიციალური პოზიცია არის ის, რომ მსგავსი რამ იტალიაში

გაგრძელება მე-5 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ნაციონალები ხელისუფლებას ამ კადრებით აშანტაჟებენ“

## შალვა ხაჭაპურიძე: „ასე თუ გაგრძელდა, სიგიჟემდე მივალთ“

ნონა ცაბაძე



თუ რატომ მიმდინარეობდა ბრძოლის იმიტაცია, აგერ გაიხსნა კარტები და ყველაფერი გასაგები გახდა. სადაც ვიღაცის საწოლში ძვრებოდნენ, ასეთ მოლაპარაკებებს გადაღების გარეშე დატოვებდნენ?!





ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი, უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** აფასებს.

***– ბატონო შალვა, კვლავაც არ ცხრება აჟიოტაჟი ფარული ჩანაწერების შესახებ. ოპოზიცია ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს. რა ინფორმაციებს ფლობთ, დღესაც მიმდინარეობს ფარული მიყურადება და თვალთვალი?***

– წინა პერიოდში, იმ ავადსახსენებელ დროს, იმდენად მასობრივი იყო ეს ყველაფერი, არც კი იმალებოდა. მე კონკრეტულად გეტყვით, როგორც ადვოკატი, ბევრ სისხლის სამართლის საქმეში გვხვდებოდა ფარული ჩანაწერები და აშკარად ჩანდა იმის კვალი, რომ ეს ჩანაწერები სანქცირებული არ იყო და მერე ხდებოდა მათი „გაპრავება“ მოსამართლეების მხრიდან.

***– დღევანდელ სიტუაციაში გხვდებათ მსგავსი ფაქტები?***

– დღეს საქმეებში მსგავსი მასალები არ გვხვდება, თუმცა დაზღვეული არაფრისგან ვართ. კანონმდებლობა, რომელიც მივიღეთ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, იგივე ინსპექტორის ინსტიტუტი, მთლად ეფექტურად ვერ მუშაობს.

***– რატომ?***

– თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს გამართული სისტემა ვერ იქნებოდა. გახსოვთ ორი გასაღების ამბავი, ერთი იქ უნდა ყოფილიყო, ერთი აქ და მთელი დავა მიდიოდა ამასთან დაკავშირებით. თუმცა ბოლოს გასაღები მაინც სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა. მართალია კანონიერად, მაგრამ...

***– და ეს სწორი იყო?***

– მართალია, იქ პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის ინსტიტუტი შეიქმნა, მაგრამ კონკრეტულ საქმეებზე დაყრდნობით ვხედავთ, რომ ეს არაეფექტურია. ხარვეზები თავიდანვე იყო დაშვებული. ფაქტია, რომ სისტემა გამართულად ვერ მუშაობს.

***– ბოლო პერიოდში აქტვირთულ ფარულ ჩანაწერებზე რას იტყვით? ხელს ხელისუფლებისკენ იშვერენ, რამდენად შედიოდა ეს ყოველივე ხელისუფლების ინტერესში?***

– აქ ხელისუფლება არაფერ შუაშია. დიდი პროფესიონალობა არ სჭირდება იმის გარკვევას, რომ ამას ხელისუფლება არ აკეთებს. სულ ხელისუფლების წარმომადგენლების კადრები რატომ ვრცელდება? ან ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანების კადრები?! ცამ და ქვეყანამ იცის, რომ თვადაც ერთმანეთს იწერდნენ ნაციონალები და თავადაც უზარმაზარი ბაზა გააჩნიათ ამ ჩანაწერების! რატომ არ მოხდა ერთი შემთხვევაც კი, რომ რომელიმე ნაციონალის მიმართ გავრცელდეს ასეთი კადრები?!

***– რატომ?***

– ძალიან მარტივია, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა აკეთებს ამას.

***– თუ ასეა, მაშინაც ხომ შეეძლოთ ამის გაკეთება, როდესაც ხელისუფლება დატოვეს?***

– ამას თუ სააკაშვილი მაშინვე გააკეთებდა, ის დასავლეთის თვალში მოიჭრიდა თავს და აშკარად გამოჩნდებოდა მისი სახე და ხელს აღარავინ დააფარებდა. დღეს ეს ყველაფერი შეფარულად კეთდება, თანაც ისე, რომ დაბრალდეს ხელისუფლებას. ეს ყველაფერი იმიტომ გააქტიურდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი მოვიდა და რაც უფრო აირევა სიტუაცია, მით უკეთესი ნაციონალებისთვის. გარდა ამისა, ამას კომერციული მხარეც აქვს.

***– კომერციულში რას გულისხმობთ?***

– ეს კადრები გაიყიდება წინასაარჩევნოდ და სერიოზული ფასი მიეცემა. უკვე მიდის ვაჭრობა. ვრცელდება ინფორმაციები სოციალურ ქსელებში, რომ არის საიტები, სადაც პირდაპირ აუქციონები იმართება ამ ყველაფერთან დაკავშირებით. საქართველო კავკასიის გულია, თუ რაიმე წამყვანი სახელმწიფო არსებობს დედამიწის ზურგზე, ყველა სახელმწიფოს სპეცსამსახურები მუშაობენ აქ. როგორ ფიქრობთ, ეს სპეცსამსახურები ფულს არ გადაიხდიან რომელიმე თანამდებობის პირზე და პოლიტიკოსზე არსებულ ვიდეო მასალაში?! რა თქმა უნდა, გადაიხდიან და შეიძენენ!

***– რატომ, რას ემსახურება ეს ყველაფერი?***

– იმისთვის, რომ მერე ვიღაც „დააევრბოვკონ“ და ასე შემდეგ. და მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი: ხელისუფლება ბევრ საკითხში ეფექტური ვერ არის, განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკაში. ამას თავადაც აღიარებენ. ანუ შენარჩუნებული იქნა ისეთი კადრები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის დროს მაღალჩინოსნები იყვნენ და მათ მსხვერპლს ვერ ვუწოდებთ, რეჟიმის აქტიური მონაწილეები იყვნენ. დღეს მაღალ თანამდებობებზე არიან და ჩვენ მათი სახელების და გვარების დასახელება შეგვიძლია.

***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– ჩნდება კითხვა, რატომ? იმიტომ, რომ ხელისუფლება იყო დაშანტაჟებული. რატომ არ გამოიძიეს ეს საქმე, რატომ ის არ გაკეთდა, ეს არ გაკეთდა? თავიდან ჩვენ ამას დავარქვით საბოტაჟი. საბოტაჟი კი არა, ეს ხალხი დაბმული ჰყოლიათ ასეთი კადრებით!

***– ანუ დაშანტაჟებული ჰყავთ ხელისუფლება?***

– ხელისუფლება „დავერბოვკებული“ ჰყავთ. ეს მეთოდი თავის დროზე ბერიამ შეიმუშავა, შემდეგ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმაც აითვისეს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი იმისთვის, რომ ესა თუ ის სახელმწიფო მოხელე „დააევრბოვკო“.

***– შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება?***

– იმ კადრებს განადგურება კი არ სჭირდებოდა, უნდა შექმნილიყო კომისია, განეხილათ ეს მასალა და ვინც იყო იმ კადრებში, იმ ადამიანებისთვის უნდა ეთქვათ, შენ პოლიტიკურ მოღვაწეობას დაანებე თავი! სადაც არჩევითია და კენჭია საყრელი, კი ბატონო, თუკი ხალხი აირჩევს, იყაროს კენჭი, მაგრამ თანამდებობებზე დანიშვნა ან მათი დატოვება ხელისუფლებაში არის ყოვლად წარმოუდგენელი!

***– რატომ არის წარმოუდგენელი?***

– ჩათვალეთ, რომ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების უშიშროების სამსახურებში ეს კადრები დევს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ეს ისეთი რამაა, რომ ამას შეუძლია ქვეყანა გააჩეროს. თუმცა ბევრი არც არაფერი აკლია გაჩერებამდე, მაგრამ მაინც...

***– ანუ ხელისუფლების უუნარობის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ისინი შანტაჟის და მუქარის ქვეშ არიან?***

– დღევანდელი სიტუაციის შედარებაც კი არ შეიძლება იმასთან, რაც ხდებოდა, მაგრამ უკეთესადაც შეიძლებოდა საქმის კეთება. ეფექტური გუნდია საჭირო. რა ეფექტური იქნება კაცი, თუ ყოველ მეორე სალამოს დაურეკავენ და ეტყვიან: შენ ეს არ გააკეთო, შენ ის არ გააკეთო, იმიტომ, რომ შენზე არსებობს ასეთი ჩანაწერები.

***– რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი? ვისზეც სერიოზული კომპრომატები არსებობს, ისინი უნდა წავიდნენ ხელისუფლებიდან?***

– ვისზეც არსებობს სერიოზული კომპრომატები და ეს კომპრომატები ნამდვილად არსებობს, ამ ადამიანებმა კეთილი უნდა ინებონ და სახელმწიფო მოღვაწეობას თავი დაანებონ!

***– თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინ არჩევნებია, რამდენად სერიოზული იარაღია ეს კომპრომატები ოპონენტის ხელში?***

– აქედანვე ჩანს, ამას დიდი ფილოსოფოსობა და წინასწარმეტყველება არ სჭირდება, რომ ეს არჩევნები იქნება საკმაოდ მძიმე. ალბათ მსოფლიოში მსგავსი ანალოგი არ იქნება კომპრომატების ომის. ეს ყველაფერი გამოიყენება და ძირითადად ეს წამოვა იმ ხალხზე, ვინც არის „ოცნებაში“. ჩემი ინფორმაციით, არსებობს არა მარტო ეს კადრები.

***– კიდევ რა კადრები არსებობს?***

– არსებობს კადრები, სადაც მაშინდელი ოპოზიციის წარმომადგენლები, ყველა არა რასაკვირველია, აწარმოებდნენ ფარულ მოლაპარაკებებს ხელისუფლებასთან. იმ აქციების ფონზე, როდესაც მთელი საქართველო ქუჩაში იყო გამოსული. ნაციონალებს ეს ყველაფერი ჩაწერილი აქვთ. წარმოიდგინეთ, ამის გამოქვეყნებაც თუ დაიწყო, აქ რა ამბები დატრიალდება. მე იმ დროს სულ ვაცხადებდი, რომ რჩება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია კი არ ებრძვის სააკაშვილს, არამედ ბრძოლის იმიტაცია მიმდინარეობს. თუ რატომ მიმდინარეობდა ბრძოლის იმიტაცია, აგერ გაიხსნა კარტები და ყველაფერი გასაგები გახდა. სადაც ვიღაცის საწოლში ძვრებოდნენ, ასეთ მოლაპარაკებებს გადაღების გარეშე დატოვებდნენ?!

როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, მე მივწერე მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ გასაჯაროებულიყო ის კადრები, სადაც მიმდინარეობდა ფარული მოლაპარაკებები ნაციონალების მხრიდან მაშინდელ ვითომ ოპოზიციურ ძალებთან.

***– ანუ ლუსტრაციის კანონზე საუბრობთ?***

– დიახ, თანამედროვე ენაზე ამას ლუსტრაციის კანონი ჰქვია. ევროპის ბევრმა ქვეყანამ მიიღო ლუსტრაციის კანონი და ჭირი მოიშორეს თავიდან. ეს ჩვენც უნდა გაგვეკეთებინა. რაც დღეს მიმდინარეობს, ეს არ არის ჯანსაღი პროცესები. თუ ასე გაგრძელდა, ეს სიგიჟემდე მიგვიყვანს. არსებობს შენზე ასეთი კადრები? ხარ მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირი? სახელმწიფო მოღვაწე? კეთილი ინებე, წადი სახლში! თუ არა და პარალიზებული გახდება ქვეყანა!

ამაზე თავის დროზე უნდა ეფიქრათ უშიშროების სამსახურებს, ვისაც ეს ეხება. ხომ იყო ჯგუფი შექმნილი, რაღაც კომისია, გამოდიოდნენ და ვენებს იხსნიდნენ, დედა, ეს რა კადრები ვნახეთო, იქ თუ ფიგურირებდა რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი, ამაზე ხმამაღლა თუ არ იყვირებდი, ეს პიროვნება ჩუმად მაინც გაგეშვა თანამდებობიდან!

# თაღლითობა სუს-ის უფროსის მოადგილის სახელით — ანტიკორუფციულმა სააგენტომ ორი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯგუფურად თაღლითობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქეები ჯემალ დუაძე და გოგიტა დემეტრაშვილი დააკავეს.





გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯემალ დუაძემ გადაწყვიტა მოტყუებით დაუფლებოდა საქართველოს მოქალაქე ბეჟან დ-ს კუთვნილ ფულად თანხას, რა მიზნითაც 2015 წლის ზაფხულში ბეჟან დ-სთან, ანტიკორუფციული სააგენტოს სახელით, მიაგზავნა გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომელიც ბეჟან დ-ს გაეცნო დავით გიორგაძის გვარ-სახელით და განუცხადა, რომ მას თითქოსდა პრობლემები ჰქონდა ანტიკორუფციულ სააგენტოში, მის მიმართ დაწყებული იყო გამოძიება და საქმის მოგვარების სანაცვლოდ 50.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. პარალელურად, ჯემალ დუაძე დაჟინებით ურჩევდა ბეჟან დ-ს მოთხოვნილი თანხის გადახდას, რომელიც მისი განმარტებით შემცირდა 30.000 აშშ დოლარამდე.

აღნიშნული თანხის დაუფლების მიზნით ჯემალ დუაძე ასევე დაუკავშირდა ბეჟან დ-ს შვილიშვილს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ბექა დ-ს, რომელსაც აუხსნა საქმის ვითარება და საკითხის მოგვარების სანაცვლოდ მასაც 30.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა.

2016 წლის 20 მარტს ჯემალ დუაძემ მის მიერ მოთხოვნილი 30.000 აშშ დოლარის თითქოსდა ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებისათვის გადაცემისა და საკითხის საბოლოოდ მოგვარების მიზნით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბექა დ-ს საქართველოში ჩამოსვლა და მასთან შეხვედრა მოსთხოვა.

თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ჯემალ დუაძე დაუკავშირდა ნაცნობს, თაღლითობისთვის წარსულში ნასამართლევ გოგიტა დემეტრაშვილს, რომელსაც გაუმხილა თავისი ჩანაფიქრი და ერთად დაგეგმეს ბექა დ-სთვის მოტყუებით, თაღლითური გზით ზემოაღნიშნული თანხის გამორთმევა. კერძოდ, 2016 წლის 20 მარტს დაახლოებით 2 საათზე ჯემალ დუაძე ჩაფიქრებული გეგმის მიხედვით, თბილისის აეროპორტში დახვდა რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულ ბექა დ-ს, წაიყვანა ის ქ. თბილისში, ავლაბრის მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე და შეახვედრა გოგიტა დემეტრაშვილს, რომელსაც ჯემალ დუაძემ წინასწარ უქირავა „მერსედეს S-კლასის“ მოდელის ავტომობილი.

გოგიტა დემეტრაშვილმა ბექა დ-ს თავი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ იოსებ გოგაშვილად გააცნო და დაჰპირდა მისი პაპის ბეჟან დ-ს მიმართ თითქოსდა წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, აგრეთვე მომავალში ყოველგვარი პრობლემების მოგვარებას. ამის შემდეგ, იმავე დღეს ჯემალ დუაძემ თითქოსდა იოსებ გოგაშვილისთვის გადასაცემად, ბექა დ-ს ქ. თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში მის მიერ მოთხოვნილი 30.000 აშშ დოლარი გამოართვა. ჯემალ დუაძე და გოგიტა დემეტრაშვილი მოთხოვნილი ზემოაღნიშნული თანხის გამორთმევის შემდეგ დააკავეს.

გამოძიება ჯგუფურად თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალასა და ტექსტში აღნიშნული პირების იდენტიფიცირება მოვახდინეთ. შესაძლოა დაკავებული პირების მიერ სხვა დაზარალებული მოქალაქეები არსებობდნენ, რომლებიც მათ ამოცნობას შეძლებენ.

# სოსო შატბერაშვილი: „პრეზიდენტს ვურჩევ, რუსეთის ხელისუფლებას დეოკუპაციაზე დაელაპარაკოს“

## „ცივილიზებული მსოფლიო მარსზე ექსპედიციების გაგზავნაზე მსჯელობს, ჩვენ კი იმაზე, ვინ ვის ლოგინში კოტრიალობს“

მარიამ მჭედლიშვილი

ინტერნეტში გავრცელებული პირადი ცხოვრების მასახველი კადრების თემა ამოწურული არ არის. მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ფარული ვიდეოების გავრცელებით უსინდისო პირებმა ტრავმა მიაყენეს არა მარტო კონკრეტულ ადამიანებს, არამედ, ამ მოქმედებებით ზიანი მიადგა საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას.

**სოსო შატბერაშვილი:**

– ასეთი კადრების გადაღება და გავრცელება უდიდესი დანაშაულია. მე და ჩემი თანამოაზრეები ყველანაირად გვერდით ვუდგავართ იმ ადამიანებს, რომლებსაც ასეთი ჩანაწერები გამოუქვეყნეს ან კადრების გასაჯაროებით დაემუქრნენ. ეს ისეთი მძიმე რამაა, რასაც ყველა ვერ უძლებს. ასეთი ტრავმის შედეგად შეიძლება დაზარალებული სუიციდამდეც კი მივიდეს. ამან დიდი დარტყმა მიაყენა ხელისუფლებასაც.

***– არიან ისეთებიც, ვისაც ამით დარტყმა არ მიადგა? ვინმემ ნახა სარგებელი აქედან?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამაზრზენ კადრებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ავრცელებს. ასეთი კადრების გადაღება, შენახვა და ხალხის დაშანტაჟება მათი ბინძური პოლიტიკის ორგანული ნაწილი იყო. მათი ატვირთვაც ნაციონალების ნამოქმედარია. მათი ერთ-ერთი მიზანია ახლანდელი ხელისუფლების დისკრედიტაცია.

***– კადრების გამავრცელებლები დაიმუქრნენ, რომ ახალ ვიდეოებს დადებენ, თუ კონკრეტული პირები 31 მარტამდე არ წავლენ თანამდებობებიდან, პოლიტიკიდან, ჟურნალისტიკიდან.***

– ამის გამკეთებელია გაქცეული დამნაშავე მეგის ქარდავა. თბილისში მყოფი ნაციონალების ლიდერების თავხედობაც ყველანაირ საზღვრებს სცილდება. მაგალითად, გიგა ბოკერია ხელისუფლების უნიათობაზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ არ იღებს ზომებს ამ კადრების გადამღებებისა და ამტვირთავების წინააღმდეგ. ნაციონალები თავის დანაშაულს სხვას აბრალებენ. ამაზე იტყვიან, გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო. ხელისუფლებამ თუ თავისი უმოქმედობა გააგრძელა, თუ ეს აღვირახსნილობა არ აღკვეთა, შემოდგომაზე უარესი დღე დაადგება.

***– ამ მოვლენების გამო საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე წევრმა ნაციონალურ მოძრაობასთან ადრე გამოცხადებული კოაბიტაცია ინანა.***

– „ქართულმა ოცნებამ“ რომ ჯერ კიდევ 2012 წელს გამოაცხადა კოაბიტაცია ნაციონალურ მოძრაობასთან, ეს შეცდომა კი არა, დანაშაული იყო. ჩვენ მუდმივად ვუკიჟინებდით ხელისუფლებას, რომ ასე არ მოქცეულიყო, მოვუწოდებდით იმპიჩმენტის გამოცხადებისკენ მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ. „ქართულმა ოცნებამ“ კოაბიტაცია გააბა ნაციონალებთან, სააკაშვილს კი არათუ იმპიჩმენტი არ გამოუცხადა, არამედ, ხატია ბუნიათიშვილის ჰანგების თანხლებით გააცილა. დასჯითაც თითქმის არავინ დაუსჯია, სამი კაცის გარდა. მათგან ერთი – ვაშლის გათლაზე.

ახლა ვიმკით ამ დანაშაულებრივი მოქმედებებისა თუ უმოქმედობის შედეგებს. „ქართულ ოცნებას“ რომ დროულად გამოეძიებინა ნაციონალების დანაშაულები, მათ შორის, ადამიანებზე ფარულად გადაღებული ვიდეოები, ახლა მსოფლიო ჩვენზე დაცინვით არ ილაპარაკებდა.

***– რას გულისხმობთ?***

– სი ენ ენ-მა გადმოსცა ინგა გრიგოლიას გამონათქვამები. ეგ კიდევ არაფერი. სი ენ ენ-მა დიდი ყურადღება დაუთმო პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ მას მრავალფეროვანი სექსუალური ცხოვრება აქვს. იმ დროს, როცა ცივილიზებული მსოფლიო პლანეტა მარსზე ექსპედიციების გაგზავნაზე ფიქრობს, ჩვენ მთელი დღეები იმაზე ვლაპარაკობთ, ვინ ვის ლოგინში კოტრიალობს.




***– როგორ აისახება ეს წინასაარჩევნო პერიოდზე?***

– 1991-92 წლებში პოლიტიკური ბრძოლის საშუალება ტანკები და ცეცხლსასროლი იარაღი იყო, მოგვიანებით – არჩევნების გაყალბება. ახლა, როგორც ჩანს, პოლიტიკური ბრძოლა წარიმართება კომპრომატებით. ამომრჩეველსაც უცნაური სიტუაცია ელის. არჩევანი გაკეთდება არა პროგრამების მიხედვით, არამედ, იმის ნიშნით, ვინ უფრო ნაკლებად გარყვნილია.

***– ერთ-ერთი აქტუალური თემა რუსეთთან ურთიერთობაა. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ გააკეთა კრიტიკული განცხადება კარასინი-აბაშიძის შეხვედრებზე და აღნიშნა პრაღის ფორმატის გადახედვის აუცილებლობა.***

– პრეზიდენტს ვურჩევდი, ამდენ ყურადღებას ნუ დაუთმობს კარასინს, რომელიც მე-!7 კაცია კრემლში და აბაშიძეს, რომელსაც ოფიციალური თანამდებობაც კი არ გააჩნია. კეთილი ინებოს გიორგი მარგველაშვილმა და თავად დაელაპარაკოს თავის რუს კოლეგას და მისგან მოითხოვოს საქართველოს დეოკუპაცია.

რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან დიალოგის აუცილებლობაზე პრეზიდენტს ჯერ კიდევ 2015 წლის იანვარში ვესაუბრე, როცა ის ოპოზიციას შეგვხვდა. ახლაც მიმაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ის საკითხია, რომელიც დალაპარაკებას საჭიროებს. ან პრეზიდენტი, ან პრემიერ-მინისტრი უნდა შეხვდნენ რუსეთის ლიდერებს. საუბედუროდ, აღარც ტერიტორიული მთლიანობა ახსოვს ვინმეს და აღარც ბიუჯეტი, ჯანდაცვა, პენსიები და სხვა სოციალური საკითხები. საქართველო სექსსკანდალებმა მოიცვა. ამაზე უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება და მსოფლიოს თავი არ უნდა გაამასხარავებინოს.

# ტექნოლოგიურმა პროგრესმა მსოფლიოს მასშტაბით სპეცსამსახურების შესაძლებლობებს გაუსწრო

## რატომაა რთული კიბერდანაშაულის გამოძიება

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიის დირექტორი ლაშა პატარაია ამბობს, რომ კიბერსივრცემ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაუსწრო კრიმინალთან ბრძოლის შესაძლებლობებსა და სპეცსამსახურების ბერკეტებს.

„კვირასთან“ საუბრისას ლაშა პატარაია კიბერსივრცის იმ ძირითად უპირატესობებს ასახელებს, რომელთა გამოც სამართალდამცველებს კონკრეტული კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ურთულდებათ. პატარაია ამბობს,რომ კიბერსივრცეს არ გააჩნია გეოლოკაცია, მას არ აქვს საზღვრები.

მისი თქმით, ზოგიერთი პროგრამის გამოყენებით შესაძლოა ვიდეოს ატვირთვის ტერიტორიისა და დროის ფალსიფიცირება, რაც კიდევ უფრო ართულებს დამნაშავე პირის იდენტიფიცირებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიის დირექტორი აცხადებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, საერთაშორისო კოოპერაციის გარეშე ვერცერთი სამართალდამცავი უწყება ვერ იქნება ეფექტური. მისი თქმით, საერთაშორისო კოოპერაცია ბიუროკრატიულ პროცედურებთან არის დაკავშირებული, რაც დანაშაულის გამოძიებას ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მეტად აჭიანურებს.

**ლაშა პატარაია:**

– თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, საერთაშორისო კოოპერაციის გარეშე ვერცერთი სამართალდამცავი უწყება ვერ იქნება ეფექტური. საერთაშორისო კოოპერაცია ბიუროკრატიულ პროცედურებთან არის დაკავშირებული, რაც დანაშაულის გამოძიებას ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მეტად აჭიანურებს.

პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, თუ საიდან მოხდა ვიდეოს ატვირთვა. ამისათვის საჭიროა, საერთაშორისო კოოპერაციის განხორციელება, რასაც ერთვის ბიუროკრატიული პროცესები – ეს ყველაფერი გამოძიების ოპერატიულობას უკან სწევს და სამმაგად აჭიანურებს.



კიბერსივრცეს აქვს ბევრი უპირატესობა, რითიც მან კრიმინალთან ბრძოლის წინააღმდეგ მსოფლიოს მასშტაბით არსებულ მექანიზმებს გაუსწრო – კიბერსივრცეს არ აქვს კონკრეტული გეოლოკაცია, არ აქვს საზღვრები და მეტიც, არსებობს ცალკეული პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია ვიდეოს ატვირთვისას ტერიტორიისა და დროის ფალსიფიცირება. ასე რომ, შესაძლოა, ჩვენ კონკრეტულმა კომპანიამ IP მისამართის მიხედვით მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომ ვიდეო აიტვირთა საზღვაგარეთიდან, თუმცა ეს ასე სულაც არ იყოს.

ლაშა პატარაია ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, პირადი ინფორმაციის დაუცველობის ზრდაზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ დღეის მდგომარეობით, საკომუნიკაციო საშუალებების 95% ექვემდებარება ფარულ მიყურადებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიის დირექტორის თქმით, არსებობენ შესაბამისი ონლაინ კომერციული დაწესებულებები, საიდანაც შესაძლებელია, დაინტერესებულმა პირმა შეიძინოს დაახლოებით ისეთივე სპეცტექნიკა, რომელიც აქვთ სპეცსამსახურებს და ისინი გამოიყენოს ფარული მიყურადებისთვის.

პატარაის თქმით, მსგავის ტექნიკის აღრიცხვა რთულია, თუმცა არა შეუძლებელი.

– არსებობს სპეციალური ონლაინ-მაღაზიები, საიდანაც დაინტერესებულ პირს შეუძლია, შეიძინოს სპეცსამსახურების ტექნიკასთან მიახლოებული ტექნოლოგიური საშუალებები და აწარმოოს ფარული მიყურადება. ამ ტიპის ტექნიკა დღეს რთული აღსარიცხია, თუმცა შეიძლება მისი კლასიფიცირება როგორც განსაკუთრებული დანიშნულების ტვირთის და ასეთ ტექნიკაზე მეტი კონტროლის დაწესება, – აცხადებს პატარაია.

რაც შეეხება ეკონომიკურ პარამეტრებს, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მსგავსი ტექნიკა, პატარაია ამბობს, რომ მსგავსი საშუალებები ძვირი არ ღირს. მისივე თქმით, კიდევ უფრო ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით წარმოებული მიყურადების პროცედურები, როცა ადგილი აქვს „ვაიბერის“, „სკაიპის“ და სხვა სოციალური ქსელების მიყურადებას.

პატარაიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების ძალიან მაღალი პროცენტი ექვემდებარება ფარულ მიყურადებას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინტერნეტპროდუქტი თავისი სპეციფიკით დაუცველია. მისი თქმით, სოციალური ქსელების მომხმარებლებს მართებთ, გაცილებით მეტი ყურადღება და უსაფრთხოების ელემენტარული პარამეტრების დაცვა, რათა ვერ მოხდეს მათი კომუნიკაციის მიყურადება.

– დღეის მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიების 95 პროცენტი მოსმენას და მიყურადებას ექვემდებარება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის პროდუქტი დაუცველია და ამიტომ არის მოსმენადი. ძალიან ხშირად ვაწყდებით ფაქტებს, როდესაც სოციალური ქსელების მომხმარებლების კომუნიკაცია წარმოადგენს მათსავე წინააღმდეგ გამოყენებულ კომპრომატს. ამიტომ აუცილებელია დავიცვათ უსაფრთხოების პარამეტრები, გამოვიყენოთ რთული პაროლი, ნუ მიუერთებენ საჯარო ქსელებს საკომუნიკაციო საშუალებებს. ძალიან ბევრი ნიუანსია, რომელიც აუცლებლად უნდა გავითვალისწინოთ.

სამწუხაროდ, ინტერნეტმომხმარებლების უმეტესობა ამ ელემენტარულ ნორმებსაც არ იცავს, რითიც იზრდება მათი პრივატულობის დარღვევის ალბათობა. არამარტო ჩვეულებრივი მოქალაქეები, არამედ სპეციფიკური მიმართულებით მომუშავე მომხმარებლებიც კი – როგორებიც არიან მედიის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, სხვადასხვა კომპანიის თანამშრომლები, ისინიც კი არ არიან ინფორმირებულები პრევენციული ღონისძიებების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაზე ინტენსიურად უწევთ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება. უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ფარული მიყურადების განხორციელება არა მხოლოდ სპეცსამსახურებს, არამედ ჰაკერებს, კრიმინალურ დაჯგუფებებს და უბრალოდ, დაინტერესებულ პირებსაც შეუძლიათ, – განუცხადა „კვირას“ ლაშა პატარაიამ.

პატარაია კიბერუსაფრთხოების სფეროში მომხმარებლების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე საუბრობს და ამბობს, რომ სწორედ ინფორმირებულობა შეიძლება დავუპირისპიროთ ტექნოლოგიური პროგრესის უარყოფით შედეგებს.

# რომში ცხინვალის წარმომადგენლობა გაიხსნა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არც მომხდარა და არც არასოდეს მოხდება, – განაცხადა კახა სიხარულიძემ.

* * *

ბოლო ხანებში, ცხინვალის გარდა, ევროპისკენ სოხუმმაც გაიხედა. ევროპის რამდენიმე ქალაქში აფხაზური რესტორნები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

რამდენიმე დღის წინ კი აფხაზეთის დელეგაციამ პარიზში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

აპსნიპრესის ცნობით, აფხაზეთი საერთაშორისო გამოფენაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით მონაწილეობდა.

– პარიზში ყოველწლიური საერთაშორისო ტურისტული გამოფენა გაიხსნა. ღონისძიებაზე, რომელშიც 120 ქვეყანა, მათ შორის აშშ, რუმინეთი, იტალია, საბერძნეთი, ხორვატია, ბელგია, ტაილანდი, თურქეთი, ბულგარეთი, კორეა და სხვა სახელმწიფოები მონაწილეობენ, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსითაა წარმოდგენილი, – იუწყება აპსნიპრესი.

აფხაზურ დელეგაციას აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი გენადი გაგულია ხელმძღვანელობს.

როგორც გაგულია აცხადებს, აფხაზეთის სტენდმა გამოფენის დამთვალიერებელთა კოლოსალური ინტერესი გამოიწვია.

– სიმართლე გითხრათ, თავადაც არ ველოდით ასეთ ინტერესს. მადლობელი ვარ გამოფენის ორგანიზატორების: მათ ამ ღონისძიებამდე საკუთარ საიტზე აფხაზეთის შესახებ ინფორმაცია განათავსეს, რითაც უდიდესი ყურადღება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მიმართ. ყველას აინტერესებს აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა, უსაფრთხოება და ვიზების გაფორმების პირობები, რაც მთავარია, ხალხი აფხაზეთის ტურისტული პოტენციალით ინტერესდება, – აღნიშნა მან.

ამასთან, გაგულიას თქმით, გამოფენაზე გამგზავრებას სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა წინ.

– მიმდინარეობდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები და შედეგად აფხაზეთი წარმოდგენილია გამოფენაზე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“, – აღნიშნა გაგულიამ.

მისი ინფორმაციით, აფხაზეთის სტენდი გადაიღო ფრანგული ტელევიზიის პირველმა არხმა, რომელმაც მასთან აფხაზეთის შესახებ ვრცელი ინტერვიუც ჩაწერა და ამ მასალაში აფხაზეთი ამ გამოფენის ახალ აღმოჩენად და უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყნად არის მოხსენიებული.

ოფიციალური თბილისი ასეთ ინფორმაციებს ტრაგიკულად ხვდება ხოლმე. თუმცა, შესაძლოა კარგიც კი იყოს, აფხაზები და ოსები რუსეთის იქითაც თუ ნახავენ სამყაროს. მათ შორის განსხვავებას აუცილებლად იგრძნობენ და იქნებ მაშინ მაინც დაფიქრდნენ თავიანთ მომავალზე, რომელიც რატომღაც რუსეთის შემადგენლობაში წარმოუდგენიათ.

# მოგების გადასახადის ახალი სისტემა 2017 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს

## საქართველოს ბიზნესასოციაციის იდეას საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი სარა ვილიამსონიც იზიარებს



საქართველოს ბიზნესასოციაცია მოგების გადასახადის ახალი სისტემის 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებას ითხოვს.

აღნიშნული ინიციატივით ასოციაცია პრემიერ-მინისტრს მიმართავს.

როგორც საქართველოს ბიზნესასოციაციაში აცხადებენ, მოგების გადასახადის რეფორმა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

— ეს გახლავთ რევოლუციური ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ზრდას და სულ უფრო მეტ ადგილობრივ და უცხოელ ბიზნესმენს მისცემს დამატებით მოტივაციას ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების განსახორციელებლად.

ამასთანავე, რეფორმის მნიშვნელობის და სირთულის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება თუ საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან, — აცხადებენ ასოციაციაში.

მათივე შეფასებით, რეფორმის ნაჩქარევი განხორციელება გამოიწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას და გაუგებრობებს, დამატებით დანახარჯებს და ბიზნესის მოუმზადებლობით გამოწვეულ საგადასახადო რისკებს.

— საგადასახადო ადმინისტრირების განმახორციელებელ ორგანოებს ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ბიზნესს, აუცილებლად დასჭირდებათ გარკვეული დრო ცვლილებებთან ადაპტაციისათვის.

იმ ფონზე, როდესაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა ჯერ კიდევ არ დაუწყია საკანონმდებლო ორგანოს, ამ ცვლილებების ნაჩქარევად, ამა წლის 1 ივლისიდან ამოქმედება გაზრდის ადმინისტრირების თანმხლებ რისკებს, მინიმუმამდე შეამცირებს პოტენციური ხარვეზების დროული აღმოფხვრის შესაძლებლობას და, შესაძლოა, ამ გზით გამოიწვიოს ამ უმნიშვნელოვანესი რეფორმის იდეის ერთგვარი დისკრედიტაცია, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია, — აცხადებენ ბიზნესასოციაციაში.



* * *

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილის აზრით, ბიზნესასოციაციის მოთხოვნა ლეგიტიმურია.

**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

— ჩვენ მას სერიოზულად მოვეკიდებით. ბიზნესასოციაციის მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ლეგიტიმურია და ჩვენ მას ძალიან სერიოზულად მოვეკიდებით.

ფინანსთა სამინისტრო მზადაა, მოგების გადასახადის ახალ სისტემაზე გადასვლის ვადებთან დაკავშირებით ბიზნესთან კონსულტაციები გამართოს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ლაშა ხუციშვილის განცხადებით, სამინისტროში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდნენ და საბოლოო გადაწყვეტილება მათთან ერთად მიიღონ.


ლაშა ხუციშვილი

**ლაშა ხუციშვილი:**

— ჩვენ გავეცანით ბიზნესის მხრიდან გავრცელებულ მიმართვას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის განხორციელების გარდამავალ ეტაპზე ბიზნესს რაიმე სახის სირთულეები არ შეექმნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კიდევ ერთხელ შევხვდეთ ბიზნესის წარმომადგენლებს და მათთან ერთად მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება რეფორმის ამოქმედების ვადებთან დაკავშირებით.

მინისტრის მოადგილის თქმით, მოგების გადასახადის რეფორმირების მთავარი მიზანი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება, ბიზნესის განვითარებისთვის მეტი შესაძლებლობის გაჩენა და ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაა.

საგადასახადო რეფორმაზე მუშაობის პროცესში შეხვედრები გაიმართა 10-ზე მეტ ბიზნესასოციაციასთან და ორგანიზაციასთან, სადაც ბიზნესის წარმომადგენლები საგადასახადო ცვლილებების ძირითად შინაარსს გაეცნენ.

აღნიშნული შეხვედრების დროს ბიზნესის მხრიდან ცალსახად დადებითად იქნა შეფასებული რეფორმის განხორციელება საქართველოში.

* * *

საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი სარა ვილიამსონი პრემიერ-მინისტრს წერილით მიმართავს და მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელთან დაკავშირებით, ამერიკის სავაჭრო პალატის პოზიციას აცნობს.

— პირველ რიგში, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ჩვენს ურყევ მხარდაჭერას აღნიშნული რეფორმებისადმი. უდიდესი იმედი გვაქვს, რომ ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და გაამარტივებს საგადასახადო ადმინისტრირების სისტემას, რაც დიდი შვება იქნება ჩვენი წევრებისა და ზოგადად, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისთვის.

უფრო მეტიც, დიდი სურვილი გვაქვს, დაგეხმაროთ ამ ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში პრესისა და საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოების საშუალებით და გვწამს, რომ აღნიშნული გამოიწვევს უფრო მეტ დაინტერესებას საქართველოს მიმართ და გაზრდის ქვეყანაში მოზიდულ ინვესტიციას, — ნათქვამია წერილში.

სარა ვილიამსონის თქმით, ისინი შეხვდნენ ასოციაციის წევრებს შემოთავაზებულ რეფორმასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების მოსასმენად. ჩატარდა დისკუსია კომერციული სამართლისა და საგადასახადო კომიტეტის წარმომადგენლების, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების, ადგილობრივი ბიზნესასოციაციებისა და იმ ექსპერტების მონაწილეობით, რომლებიც ესტონური საგადასახადო სისტემის თავად ესტონეთში იმპლემენტაციის მოწმენი იყვნენ.

— აღნიშნული ექსპერტები, ჩვენს მსგავსად, დიდი ენთუზიაზმით არიან განწყობილნი ცვლილების მიმართ, — აღნიშნავს სარა ვილიამსონი.

ის ხაზს უსვამს, რომ, ექსპერტების აზრით, რეფორმის იმპლემენტაცია საგადასახადო წლის შუაში პრობლემატური შეიძლება აღმოჩნდეს.

— ჩვენი აზრით, კომპანიების მიერ მათ საბუღალტრო საქმიანობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისათვის ჯერ ძალიან ადრეა. გარდა ამისა, საიმისოდ, რომ კომპანიები მოემზადონ ცვლილებებისათვის, მათ თავიანთი ფინანსური წლის „დახურვა“ ორჯერ — ზაფხულში და ახალი წლისთვის მოუწევთ. აღნიშნული გაზრდის ადმინისტრაციულ ტვირთს, რამაც შეიძლება მიმდინარე წლის მანძილზე ცვლილებით გამოწვეული დადებითი შედეგი სრულად გადაფაროს, — ნათქვამია წერილში.

სარა ვილიამსონი პრემიერს სთავაზობს, კანონი მიღებულ იქნას მიმდინარე წელს, თუმცა მისი იმპლემენტაცია დაიწყოს 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს საშუალებას მისცემს ბიზნესსაზოგადოებას, დაგეგმოს ცვლილებები და მოამზადოს თანამშრომლები.

— ეს დრო, ასევე შესაძლებლობას მისცემს შემოსავლების სამსახურს, მოემზადოს შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ეფექტური და უპრობლემო იმპლემენტაციისთვის. ჩვენ მზად ვართ კონსულტაციისა და დახმარებისათვის.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენი მოსაზრება არ ამცირებს ჩვენს ზოგად ენთუზიაზმს ცვლილებისადმი. იმედის თვალით შევყურებთ რეფორმის იმპლემენტაციას და თქვენს მთავრობასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას, — აღნიშნულია წერილში.


დიმიტრი ქუმსიშვილი

# 2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან ექსპორტი 13%-ით შემცირდა, იმპორტი 1%-ით გაიზარდა

2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1.413 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 პროცენტით ნაკლებია.

როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, ექსპორტი 281 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (13 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1.132 მლნ აშშ დოლარს (1 პროცენტით მეტი).

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-თებერვალში 852 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 60 პროცენტი შეადგინა.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 532 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 38 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 77 მლნ აშშ დოლარი იყო (28 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 454 მლნ აშშ დოლარი (63 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 38 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 28 პროცენტი და იმპორტში 40 პროცენტი (2015 წლის იანვარ-თებერვალში შესაბამისად 27,33 და 25 პროცენტი).



ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 44 პროცენტი (2015 წლის იანვარ-თებერვალში 22 პროცენტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წლის იანვარ-თებერვალში 353 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2015 წელთან შედარებით 18 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 74 მლნ აშშ დოლარი (33 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 279 მლნ აშშ დოლარი იყო (12 პროცენტით ნაკლები).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 25 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 26 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი (2015 წლის იანვარ-თებერვალში შესაბამისად 30, 34 და 29 პროცენტი). 2016 წლის იანვარ-თებერვალში დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 24 პროცენტი (2015 წლის იანვარ-თებერვალში 26 პროცენტი).

2016 წლის იანვარ-თებერვალში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია ირლანდია (209 მლნ აშშ დოლარი),

თურქეთი (199 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი (117 მლნ აშშ დოლარი) და ჩინეთი (109 მლნ აშშ დოლარი).

2016 წლის იანვარ-თებერვალში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 57 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 20 პროცენტი შეადგინა. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 23 მლნ აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 8 პროცენტს უდრიდა.

მესამე ადგილზე თხილის და სხვა კაკალის ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 21 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 7 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2016 წლის იანვარ-თებერვალში სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 235 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 21 პროცენტი შეადგინა.

მეორე ადგილზე იმყოფებოდა ნავთობის აირების და აირისებრი ნახშირწყალბადების სასაქონლო ჯგუფი 88 მლნ აშშ დოლარით, რაც იმპორტის 8 პროცენტი იყო.

მესამე ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 63 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 6 პროცენტი).

**ბიპიენი**

# სესილია მალმსტრომი: „ევროპულ ბაზარზე მეტი ქართული პროდუქციის გატანისთვის თანამშრომლობა გაღრმავდება“

ვაჭრობის საკითხებში ევროკომისრის, სესილია მალმსტრომის განცხადებით, ევროპულ ბაზარზე მეტი ქართული პროდუქციის გატანის მიზნით მხარეები თანამშრომლობას გააღრმავებენ.



შესაბამისი კომენტარი ევროკომისარმა ჟურნალისტებთან საუბარში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

— ჩვენ ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა მინისტრთან, განვიხილეთ თუ რა სტადიაზეა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესი. მინისტრმა ისაუბრა რეფორმებზე, ასევე ვისაუბრეთ საჭირო ზომებზე, რათა მცირე და საშუალო ბიზნესი ინფორმირებული იყოს და მოემზადოს ევროპულ ბაზარზე გასასვლელად.

იმისთვის, რომ ევროპულ ბაზარზე მეტი ქართული პროდუქტი გაიდეს, ამ მიმართულებით თანამშრომლობა გაღრმავდება, — განაცხადა ევროკომისარმა.

ევროკომისარმა თავის განცხადებაში ისაუბრა იმ პროდუქტებზე, რომლებიც უკვე იყიდება ევროპულ ბაზარზე და აღნიშნა, რომ საჭიროა ზომების მიღება, ქართული თაფლისა და თევზეულის ბაზარზე გასასვლელად.

**ბიპიენი**

# ვახტანგ მაისაია: „კარასინის განცხადება საინფორმაციო ომის გაჩაღებაა საქართველოს წინააღმდეგ“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობას" ბოლო დროს მიმდინარე საკითხებზე ესაუბრა.**



– რუსეთმა სირიაში საწადელს მიაღწია. რუსეთის მხარეს მყოფი ასადის რეჟიმი დღეისთვის მეტ ტერიტორიას აკონტროლებს. მისი ძალაუფლება გაძლიერდა. მათ მიიღეს დიდი შეიარაღება და მას შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს საბრძოლო ოპერაციები. რუსეთმა მიაღწია იმას, რომ ასადის რეჟიმი გახდა მოლაპარაკების მხარე. დღეს ეს ფაქტი შემდგარია, – ამბობს ექსპერტი.

***– მაშინ რუსეთმა რატომ გამოიყვანა თავისი ჯარის ნაწილები?***

– რუსეთმა თავისი ჯარის დაახლოებით 30% გამოიყვანა, რადგან ჩათვალა, რომ მიაღწია თავის მიზნებს და ამოცანებს.

***– თუ ფორმა შეცვალა და უფრო მეტი დაქირავებული მებრძოლი ეყოლება ამ ბრძოლაში?***

– გარკვეულწილად ესეც არის, მაგრამ, ჯერჯერობით, ამ ეტაპზე ჯარის რაოდენობა შეამცირა, საბრძოლო ავიაციის ჩათვლით. თუმცა, იმ რაოდენობის შეიარაღება და წარმომადგენლები დატოვა, რომ ჰგონია, რომ საკმარისია. თუ დასჭირდა, რუსეთი კვლავ გაზრდის ჯარის რაოდენობას.

***– ასადის გაძლიერება, საბოლოო ჯამში, რა შედეგს მოიტანს?***

– ასადის გაძლიერება სირიასა და ახლო აღმოსავლეთში პრორუსული ინტერესების გაძლიერებას გამოიწვევს. ასადის რეჟიმის გაძლიერებით, ძალთა ბალანსი რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე იქნება წარმართული. შეეცდებიან, რუსეთის ფარული ინტერესები დააბალანსონ ამერიკულ და თურქულ ინტერესებთან.

***– თუმცა, სირიაში ვითარება ისევ არ შეცვლილა და ისევ რამდენიმე ძალა იბრძვის.***

– კი, ამერიკის თავდაცვის მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის მოქმედებამ სირიაში ვითარება გააუარესა.

***– კარასინი გვემუქრება. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს კარასინის განცხადება? რის მიღწევას ცდილობს რუსეთი?***

– კარასინის განცხადება გვიჩვენებს, რომ რუსეთმა თავისი ვექტორი ახლა კავკასიის რეგიონისკენ მომართა.

***– ეს რას ნიშნავს?***

– რუსეთი აპირებს გააქტიურდეს კავკასიის რეგიონში.

***– ანუ სირიის შემდეგ კავკასიაში გადმოდის?***

– დიახ.

***– ხშირად კარასინისა და აბაშიძის შეხვედრის წინ ვითარება მწვავდება ცხინვალის რეგიონში, საოკუპაციო ხაზს ავლებენ. რას ემსახურება ამგვარი გართულებები?***

– მცოცავ ოკუპაციას რუსეთი საქართველოზე ზეგავლენისთვის იყენებს. კარასინის განცხადება იყო საინფორმაციო ომის გაჩაღება საქართველოს წინააღმდეგ.

***– რუსეთმა კონფლიქტები მოაწყო საქართველოში, უკრაინასა და სხვა ტერიტორიებზე, სადაც არია სიტუაცია და ტერიტორიები მიიტაცა. შემდეგ გადაინაცვლა სირიაში. ყველგან თავისი საქმე გააკეთა. ახლა კავკასიაში რა შეიძლება მოიმოქმედოს?***

– კარასინმა ისე ილაპარაკა, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განმეორებაზე უარს არ იტყვის. რუსეთმა ეს თქვა კარასინის პირით.

***– რის მიღწევას შეეცდება რუსეთი აგრესიის განმეორებით?***

– რუსეთს სურს თავისი პოზიციების გამტკიცება და გავლენის გაძლიერება ჩვენს სივრცეში, მთელს კავკასიის რეგიონზე.

***– რუსეთი შეიძლება ოკუპირებული ტერიტორიების აქეთ გადმოვიდეს?***

– რატომაც არა, არ გადმოსულა თუ რა?!

***– გადმოვიდა, მაგრამ ხომ დააბრუნეს უკან?***

– გასაგებია, მაგრამ მაშინ რუსეთს სხვა ამოცანა ჰქონდა. ახლა შეიძლება საქართველოს ხელისუფლების შეცვლა უნდოდეს. ბევრი ფაქტორია. რუსეთი დღეს ყველაფერზე წამსვლელია. რუსეთმა აზერბაიჯანის მიმართულებითაც გაახმოვანა მუქარა. მხოლოდ საქართველოზე კი არა, აზერბაიჯანზეც ახდენს ზეწოლას. აზერბაიჯანის მიმართულებით რუსეთმა გააძლიერა კასპიის ფლოტილია. იქ გაზარდა სადესანტო ხომალდების რაოდენობა.

***– აზერბაიჯანში სამხედრო ბაზა ხომ არ აქვს?***

– აზერბაიჯანში სამხედრო ბაზა არ აქვს, მაგრამ კასპიის ფლოტილიის პოტენციალი გააძლიერა.

***– ცოტა ხნის წინ ჩვენ ვისაუბრეთ რუსეთის თურქეთის საზღვრებისკენ სწრაფვაზე. ახლა თქვენ თქვით, რომ რუსეთმა შესაძლებელია განახორციელოს აგრესია საქართველოზე. საქართველოს ტერიტორია მას თურქეთთან მიახლოებისთვის ხომ არ სჭირდება?***

– რა თქმა უნდა, ეს ჯდება ლოგიკაში. ამაში ორი აზრი არ არსებობს. რუსეთმა დაიწყო ახალი სვლები. გაააქტიურა სამხედრო-ოპერატიული სარდლობა სამხრეთში, დაიწყო თავისი ჯარების მობილიზაცია. ორი დღის წინ გამოაცხადა წვრთნების ახალი ტალღის შესახებ. ჩრდილოეთ კავკასიაში ფართომასშტაბიანი წვრთნები დაიწყო. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სურს საქართველოზე ერთიანი დარტყმა განახორციელოს. რუსეთი ამ მიმართულებით ყველაფერზეა წამსვლელი. მას აქვს გამოწვევა თურქეთიდან და ნატოდან და ეს ყველაფერი ერთ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ.

* * *

როგორ შეგვიძლია დავიცვათ თავი რუსეთის შესაძლო აგრესიისგან? შესაძლებელია თუ არა რუსეთის მცოცავი ოკუპაციის შეჩერება ამ სიტუაციაში?

ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ, პრეზიდენტის უფლებამოსილება რომ ჰქონდეს, მცოცავი ოკუპაციის შესაჩერებლად ბრძანებებს გასცემდა და პრევენციულ ღონისძიებებს გაატარებდა.

– ყველა ერთ პოზიციაზე უნდა დავდგეთ და გავაძლიეროთ კავშირები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან. სხვა საშუალება ჩვენ არ გვაქვს, – ამბობს ვახტანგ მაისაია.

***– რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიებიდან ტანკებს და ჯარს გადმოიყვანს, ჩვენ კი ვერაფრით შევეწინააღმდეგებით?***

– უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც რუსეთმა გააკეთა უკრაინასა და სირიაში. რუსეთი ახლაც აგრძელებს მცოცავ ოკუპაციას. მეჯვრისხევის მიდამოებში რუსეთმა გზის გაყვანა დაიწყო და ოკუპაციის ზონა გააფართოვა. გზა გაჰყავს, რომ შემდეგ სამხედრო ტექნიკა პრობლემების გარეშე შემოიყვანოს და თბილისი-გორის ტრასა გადაკეტოს.

***– ჯარი და პოლიცია რისთვის გვყავს, ხომ შეიძლება რაღაც ნიშნულზე დავდგეთ და დავიცვათ ჩვენი მიწა, აქეთ რომ ველარ გადმოიწიოს?***

– ეს უკვე ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ, რატომ არის ასე პასიური. ვითარების შესაბამისი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

***– რა ღონისძიებები?***

– ინტერვიუს ფორმატში ამაზე ვერ ვისაუბრებთ. თუმცა, ამის გაკეთება აუცილებელია. მე ვიმოქმედებდი, რომ შეწყვეტილიყო რუსეთის თავხედური ქმედებები. ამას პოლიტიკური ნება სჭირდება. პოლიტიკური ნება კი არ არსებობს.

# ტარები ჩქარა!



ბოლო კვირებია, მოვლენების ერთ-ერთ მთავარ ეპიცენტრად სახელმწიფო უნივერსიტეტია ქცეული.

ცოდნის ტაძრად მონათლული თსუ, შეიძლება ითქვას, კრაზანის ბუდეს დაემსგავსა. აქეთ სტუდენტთა ერთი ნაწილი რექტორის, ვლადიმერ პაპავას გადადგომას ითხოვს, მეორე ნაწილი პირიქით – მისი დარჩენის მოთხოვნით გამოდის და ისმის ტელევიზიით ურთიერთბრალდებები, ვიღაცა ვიღაცას სცემს, ვიღაც შიმშილობს, ვიღაც პირიქით, ამ ყველაფრით „ძღება“ და სეირს უყურებს.

ფაქტი კი ის არის, რომ ცოდნის ტაძარში დღეისთვის ცოდნის მიღება ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ.

უნივერსიტეტის რექტორმა გადადგომაზე უარი თქვა და განაცხადა, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას დავემორჩილებიო. რეალურად, ასეთი არეულობა არც სამეთვალყურეო საბჭოს უნდა აწყობდეს და საინტერესოა, რატომ აქვს პაპავას ამ ორგანოს მხარდაჭერის იმედი?!

მოკლედ, მას შემდეგ, რაც ბატონი ლადო უნივერსიტეტის რექტორი გახდა, საკუთარი პოზიციების გამყარებას შეუდგა. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა პაპავა უნდა აერჩიათ, მუსირებდა აზრი, რომ ის იყო კაცი არსაიდან, ანუ არ იყო უნივერსიტეტის „წვენში მოხარშული“ კადრი, თუმცა არჩევანი გაკეთდა და პაპავაც საქმეს შეუდგა.

როგორც ჩანს, მაშინ ნეპოტიზმის თემა ასე მწვავედ არ განიხილებოდა, ან უბრალოდ პაპავასთვის არავის ეცალა და ამიტომაც, იმჟამინდელ კანცლერს მრჩევლად ზურაბ კუბლაშვილი, მეტსახელად „პავლოვიჩი“ დაანიშნინა. შესაძლოა, კუბლაშვილის გვარი ბევრს არავის არაფერს ეუბნება (ზურაბ კუბლაშვილის, თორემ კოტემ და პალიკომ კი გაუთქვეს ამ გვარს სახელი), მაგრამ თუ იმასაც ვიტყვით, რომ ბატონი ზურაბი პაპავას ცოლის ბიძაშვილია, წოდებით პოლკოვნიკია და...

– ზურაბ კუბლაშვილი არის იგორ გიორგაძის მეგობარი და მან გაყიდა გიორგაძე, – ეს სიტყვები შსს-ს ოდინდელ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს ეკუთვნის.

მოკლედ, ეს „გიორგაძის გამყიდველი“ სათანადოდ დააფასა წინა ხელისუფლებამ და გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილედ ჯერ მაშინ დანიშნა, როცა ამ უწყებას ვასილ სანოძე ხელმძღვანელობდა, მერე კი მოადგილეობა თენგიზ გუნავას გენინსპექციის შეფად მუშაობისას დაამადლა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კუბლაშვილი დაახლოებით ისე მოისროლეს სამსახურიდან, როგორც სამაისოდ შემოსული ბლის კურკებს ისვრიან ხოლმე, მაგრამ აგერ, გამოჩნდა ბატონი ლადო და თსუ-ში პირადი „ოდეერი“ მიიყვანა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა პაპავა თავისი ცოლის ბიძაშვილს (კონკრეტულად კუბლაშვილს) ეხმარება. მაშინ, როდესაც ლადო პაპავა 1994 წლიდან 2000 წლამდე შევარდნაძის კორუმპირებული მთავრობის ეკონომიკის მინისტრი იყო, მისი ცოლის ბიძაშვილი, პოლკოვნიკი კუბლაშვილი პაპავას დაქვემდებარებულ უწყებაში ე.წ. „ოდეერის“ როლს ასრულებდა. ანუ, ამ მხრივ გამოცდილება აქვს კაცს.

ახლა მეტყვით, რას ჩააჯინდით ამ კუბლაშვილს, სხვა ვერავინ ნახეთო და მართლებიც იქნებით. კუბლაშვილი ერთადერთი არ არის, რომელიც პაპავას მისი ინტერესების გატარებასა და უნივერსიტეტის ერთპიროვნულ მართვაში ეხმარება.

პაპავა არჩევის დღიდანვე შეუდგა თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრების უმრავლესობისთვის პრივილეგირებული პირობების შექმნას, რადგან მისი ბედი სწორედ მათ ხელში იყო.

ერთ-ერთი ასეთი გავლენიანი პროფესორი, რომელიც პაპავას ნდობით სარგებლობს და, შესაბამისად, გვერდით უდგას მას, ავთანდილ სილაგაძეა.

პროფესორი სილაგაძეც შევარდნაძის მთავრობის წევრი გახლდათ და იმ დროს, როდესაც პაპავა ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობდა, სილაგაძე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი იყო. ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან დიდი ხნის ახლო მეგობრობა აკავშირებს. ეს რომ ასეა, ისიც ადასტურებს, რომ პაპავამ თავის დიდი ხნის მეგობარს, სილაგაძეს, რომელიც სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, 3 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის პრორექტორი იყო, კათედრა შეუქმნა, ანუ ბოლომდე დატვირთა კაცი...

საქმეში არიან მამა-შვილი ლევან და ნიკოლოზ მეტრეველები, რომლებიც თსუ-ს აქციების ორგანიზატორები იყვნენ. მამა-შვილი თვითმმართველობისა და კანცლერობის კანდიდატის, გიორგი გაფრინდაშვილის წინააღმდეგ მიმართული აქციების ორგანიზებაში არიან ჩართულები და ჯერ კიდევ თსუ-ს რექტორის საარჩევნო კამპანიის დროს აქტიურობდნენ.

ნიკა მეტრეველი ჯერ კიდევ ალექსანდრე კვიტაშვილის გადაყენების მოთხოვნით მიმდინარე აქციებზეც ძალიან აქტიურობდა და როცა მიზეზით დავინტერესდით, განგვიმარტეს, რომ მამა – ლევან მეტრეველი, ვლადიმერ პაპავას ახლო მეგობარია. პრინციპში, არაფერია იმაში ცუდი, თუ მეგობარი მეგობარს მხარს დაუჭერს, თუმცა დღეს უკვე ღიად საუბრობენ, რომ ამ მხარდაჭერის გამო, მათ თსუ-ს მე-8 კორპუსში საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის საოფისე ფართი მიიღეს. ისე, ლევან მეტრეველი საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ყოფილი წევრია.

ლევან და ნიკოლოზ მეტრეველებმა 2013 წელს ჩამოაყალიბეს არასამთავრობო ორგანიზაცია „კომპლექსური განვითარების ცენტრი“, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიკურ, საერთაშორისო ურთიერთობების, სახელმწიფო უსაფრთხოების და რელიგიურ საკითხებზე კვლევების ჩატარება, კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ორგანიზება.

„კომპლექსური განვითარების ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში რუსული პროპაგანდის და რუსული „რბილი ძალის“ პოლიტიკის კოორდინატორთან, ნიკოლაი სილაევთან. მისი დაკვეთით აწყობს სემინარებს, კვლევებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებს. „კომპლექსური განვითარების ცენტრს“ 2013 წელს ნიკოლაი სილაევის დაკვეთით ჩატარებული აქვს შემდეგი თემატიკის კვლევები: საქართველოს მონაწილეობა სირიის კონფლიქტში; საქართველოში ახალგაზრდობის დამოკიდებულება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ; თბილისელების დამოკიდებულება ქალაქ სოჭში ოლიმპიადის გამართვასთან დაკავშირებით და სხვა.

2013 წლის 23-27 აპრილს რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადში გაიმართა დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც ასევე მიწვეულნი იყვნენ დსთ-ს ქვეყნებში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

მოკლედ, ბოლოში კი გავედით, მაგრამ ის ვერ გავიგე ჯერ, დროშა თუ ტარი?! გალაქტიონი კი იძახდა, დროშები ჩქარაო, მაგრამ ის დროა, ტარები, ტარები, ტარები ჩქარა შემოვძახოთ.

**გასწორება:**

ინტერვიუს სათაურში მოყვანილი: „ვახტანგ თორდია: „მურუსიძის დანიშვნით სწორად მოვიქეცით“ – ეს ციტირება არ შეესაბამება რესპოდენტის მიერ წერილში წარმოთქმულ სიტყვებს“.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ბარაქ ობამა ჰავანაში ჩავიდა

ბარაქ ობამას კუბაში ვიზიტს ექსპერტებმა ისტორიული უწოდეს. თითქმის 55 წლიანი დაპირისპირების შემდეგ კუბასა და აშშ-ს შორის ახალი ურთიერთობები იწყება. მრავლისმეტყველია, რომ ურთიერთობების აღდგენა მაშინ ხდება, როცა ხელისუფლებაში ფიდელ კასტროს ძმა, რაული იმყოფება.

ობამა ძველი ჰავანის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებს, შემდეგ დაგეგმილია მოლაპარაკებები რაულ კასტროსთან. ობამა კუბელ ბიზნესმენებსაც შეხვდება. ამ დროს კუბა–აშშ-ს მომავალი საქმიანი პარტნიორობის ნიუანსები განიხილება.

ვიზიტის კულმინაცია ობამას სატელევიზიო გამოსვლა იქნება. ამერიკის პრეზიდენტი ჰავანის ტელევიზიის ღია ეთერით კუბელ ხალხს მიმართავს. ამ დროს ობამა დაწვრილებით ისაუბრებს იმაზე, თუ როგორ ხედავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს.

ამერიკის პრეზიდენტი კუბელ დისიდენტებსაც შეხვდება.

თავის უკანასკნელ ტელე-ინტერვიუში ობამამ აღნიშნა, რომ 55 წლიანმა სანქციებმა კუბის წინააღმდეგ შედეგები არ გამოიღო, ამიტომ აუცილებელია ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველიც იქნება დემოკრატია, ადამიანის უფლებების პატივისცემა.

– ჩვენ მრავალი წლის მიზანმიმართული მუშაობა დაგვჭირდა, რათა კუბასთან ასეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება დაწყებულიყო, – თქვა ობამამ.






# თურქეთმა სტამბულის ტერაქტში ისლამისტი ექსტრემისტები დაადანაშაულა

თურქეთის შს მინისტრმა ალამ განაცხადა, რომ სტამბულის ტერაქტი ისლამური სახელმწიფოს მიერ იყო ორგანიზებული. მინისტრმა აღნიშნა, რომ დაპატიმრებულია ტერორისტების ხუთკაციანი ჯგუფი და მათი მეთაური ოზთიურქი.

– აფეთქება სტამბულში უშუალოდ მათ განახორციელეს, – ამბობს ალა.

მინისტრმა თქვა, რომ ოზთიურქი თურქეთის მოქალაქეა, რომელიც ისლამურ სახელმწიფოზე მუშაობდა. ალამ აღნიშნა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ბევრი შენიღბული ექსტრემისტი იმყოფება. ტერაქტების ალბათობაც დიდია.

– ტერაქტები გვემუქრება როგორც ისლამური სახელმწიფოს, ასევე ქურთი ექსტრემისტების მხრიდანაც, – თქვა ალამ.

ტერორიზმის საფრთხეზე სტამბულის გუბერნატორმაც ისაუბრა.

მისი განკარგულებით, ფენერბახჩესა და გალათასარაის შორის საფეხბურთო მატჩი გაუქმდა.

მიზეზად ტერორიზმის საფრთხე დასახელდა.

# აბდესლამი ტერაქტებს ბელგიის ტერიტორიაზეც გეგმავდა

პარიზის ტერაქტების ორგანიზატორი აბდესლამი ტერაქტებს ახლა უკვე ბელგიაშიაც გეგმავდა.

ამის თაობაზე ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა დიდიე რეინდერსმა განაცხადა.

– ჩვენ მიერ აღმოჩენილია იარაღის დიდძალი მარაგი, მოპოვებულია ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ აბდესლამი ბელგიაში ტერაქტებს გეგმავდა, – აღნიშნა მინისტრმა.

მან თქვა, რომ ექსტრემისტები აპირებდნენ ტერაქტები მოეწყოთ როგორც ბელგიის, ასევე მთელი ევროპის ტერიტორიაზე.

– აბდესლამს იდეა-ფიქსი აწუხებდა, მთელი ევროპა ცეცხლში უნდა გავხვიოო, – ამბობს რეინდერსი.





# ყაზახეთი: არჩევნებში მმართველი პარტია იმარჯვებს

ყაზახეთში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მმართველმა პარტია „ნუროტანმა“ („სამშობლოს შუქი“) დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მან ხმების 82% პროცენტი მიიღო.

მმართველმა პარტიამ პოზიციები კვლავ შეინარჩუნა და უახლოესი წლების განმავლობაში ყაზახეთის მართვას გააგრძელებს. ოპოზიციონერებიდან პარლამენტში მოხვდნენ კომუნისტური სახალხო პარტია და ორგანიზაცია „აკ ჟოლი“ („ნათელი გზა“).

– ჩატარდა დემოკრატიული, გამჭვირვალე არჩევნები. ჩვენ მთელს მსოფლიოს ვუჩვენეთ, რომ ყაზახეთი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, – განაცხადა პრეზიდენტმა ნაზარბაევმა.

# აქცია ტრამპის წინააღმდეგ

დონალდ ტრამპი ქალაქ ფენიქსში (არიზონას შტატი) ჩავიდა. მოსახლეობა პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდა.

– არა ტრამპს! ტრამპი სიძულვილია! – სკანდირებდნენ ისინი.

მანიფესტანტებმა შოსე გადაკეტეს. შედეგად წარმოიქმნა საცობი. პოლიციამ აქციის რამდენიმე მონაწილე დააპატიმრა და გზა გაათავისუფლა. ტრამპი ქალაქში მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა.

მან ჩაატარა მიტინგი, სადაც ძველი თეზისები გაიმეორა.




მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# 78 წლის მონაზონმა მაღაზიაში იქურდა

ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ ბერვიკში სუპერმარკეტის თანამშრომლებმა ყავისა და ტუალეტისთვის საჭირო ნივთების ქურდობის ფაქტზე 78 წლის მონაზონი აგნეს პენინო დააკავეს.



ქალმა, რომელიც სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, 23 დოლარის ნივთები მოიპარა. ის რომ ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის მონაზონმა ნივთები მოიპარა, გამყიდველებს ერთ-ერთმა მყიდველმა შეატყობინა. ქალს ვიდეო კამერის დახმარებით დაფიქსირებული მისი ავტომობილის ნომრის წყალობით მიაგნეს, რომელიც მაღაზიის ავტოსადგომზე იყო გაჩერებული.

ადგილობრივმა პოლიციამ პენინო დაკითხეს და დარწმუნდნენ, რომ ქალი სრულ ჭკუაზე იმყოფებოდა. სუპერმარკეტის მენეჯერმა ეინ კიშბახმა განაცხადა, ვერაფრით იჯერებდა, რომ მონაზონს რაიმე მსგავსის ჩადენა შეეძლო. ქალბატონს ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

მომხდართან დაკავშირებით კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელს კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# თბილისი ძიუდოში გრან პრის მასპინძლობს



25-27 მარტს თბილისი ძიუდოს პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს თბილისის გრან პრი 2016-ს ზედიზედ მესამედ უმასპინძლებს. თბილისის გრან პრი უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება, რომელიც 3.600 მაყურებელს იტევს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან ვაჟთა გუნდიდან ტატამზე, ყველა უძლიერეს ძიუდოისტს ვიხილავთ გუნდის ლიდერების ავთანდილ ჭრიკიშვილისა (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანის (90 კგ) გარდა, რომლებიც ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან და ამჯერად დასვენების საშუალება ეძლევათ.

თბილისის გრან პრიზე საქართველოს ღირსებას 32 ძიუდოისტი (28 ვაჟი და 4 ქალი) დაიცავს, მათ შორის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ), ევროპის ჩემპიონები და მრავალგზის პრიზიორები ამირან პაპინაშვილი (60 კგ), ადამ ოქრუაშვილი (მძიმე), ვერცხლის პრიზიორი ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ), მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში ბექა ღვინიაშვილი (100 კგ), 2015 წლის თბილისის გრან პრის გამარჯვებული ლევან მატიაშვილი (მძიმე) და სხვა ტიტულოვანი წევრები.

თბილისის გრან პრიზე მსოფლიოს 73 ქვეყნის წარმომადგენელი 448 ძიუდოისტი (272 ვაჟი, 176 ქალი) იასპარეზებს, მათ შორის ტიტულოვანი სპორტსმენები საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, მონღოლეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ბელგიიდან, უნგრეთიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, პორტუგალიიდან, ყაზახეთიდან, ჩინეთიდან, კორეიდან, ბრაზილიიდან, ამერიკიდან და სხვა.

თბილისის გრან პრის დაესწრებიან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი პირები და მოწვეული სტუმრები.

ტურნირის საპრიზო ფონდი 100.000 დოლარია, თბილისის გრან პრიზე გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულებს მიიღებენ. პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენებს 300 სარეიტინგო ქულა დაერიცხებათ, ვერცხლის პრიზიორებს – 180, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორებს – 120.

თბილისის გრან პრის ოფიციალური კენჭისყრა და პრესკონფერენცია 24 მარტს სასტუმრო ჰოლიდეი ინში გაიმართება.

ტურნირი ახალ სპორტის სასახლეში 25 მარტს 10:00 საათიდან აიღებს სტარტს, ფინალური ბლოკი კი სამივე საშეჯიბრო დღეს 17:00 საათზე დაიწყება.

გრან პრის პირველ დღეს, 25 მარტს 16:25 წუთზე დაგეგმილია ოფიციალური გახსნის ცერემონიალი.

# გურამ საღარაძე – ჩემპიონი ხალიჩაზე და მის მიღმა



1962 წელია, თბილისში საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაძე „მაზანდარელ ვეფხვად" წოდებული ირანელი იმამ ალი ჰაბიბი, რომელიც იმ დროისთვის ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო და 20 წლის ქართველი ჭაბუკი, გურამ საღარაძე დგანან. ქართველი მოჭიდავე 7:6 ამარცხებს სახელოვან ირანელ მეტოქეს და ცირკის დარბაზი ოვაციებისგან ინგრევა და იწყება საღარაძის ხმაურიანი ისტორია ჭიდაობაში.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1963, 65) და ორგზის მეორე პრიზიორი (1966, 67), ევროპის ჩემპიონი (1965) და მესამე პრიზიორი (1968). ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1964), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964-66) და მესამე პრიზიორი (1968), სსრკ ხალხთა მე-4 სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, ფილას, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენების კავალერი. თბილისის საპატიო მოქალაქე – ასეთია გურამ საღარაძის ჯილდოები ხალიჩაზე თუ მის მიღმა.

გურამ საღარაძეს მეტად მდიდარ სამედლო კოლექციას ოლიმპიური ოქრო აკლია, თუმცა, ტოკიოს თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ფეხი რომ ვერ შედგა და ვერცხლით „დაკმაყოფილდა", არაობიექტური და მიკერძოებული მსაჯობის ბრალია.

**გურამ საღარაძე:**

– ტოკიოს ოლიმპიადაზე მეტი გამოცდილება რომ მქონოდა და გუნდის მწვრთნელებსაც ყურადღება გამოეჩინათ, ოქროს მედალი მე დამრჩებოდა. თურმე თურქი ისმაილ ოგანი, ოლიმპიადის მსვლელობისას ყველაფერს ყურადღებას აქცევდა და ჩემს წონასაც თვალყურს ადევნებდა. წინასწარ ჰქონია გათვლილი, თუ ჩვენი შეხვედრა ფრედ დამთავრდებოდა და იგი უფრო მსუბუქი აღმოჩნდებოდა, პირველ ადგილს დაიკავებდა.

საამისოდ, ჩვენს შეხვედრამდე ორთქლის აბანოში წონა დაეკლო. პლუს, ცხიმი ჰქონდა შეზელილი და ხელის მოკიდებას ვერ ვახერებდი. ორჯერ იძულებული გავხდი, ჭიდაობა შემეჩერებინა და მსაჯისთვის მიმემართა, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო და რეფერიმ ოგანს გაფრთხილება არ მისცა.

მთელი საჭიდაო დროის განმავლობაში ოგანი პასიურობდა, ორთაბრძოლას გაურბოდა და ილეთი ვერ ჩავუტარე. შედეგად, ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა, არადა დღევანდელი წესებით, ოგანს პასიურობისთვის აუცილებლად მოხსნიდნენ.

ჭიდაობა როდესაც დასრულდა, რადგან ყველა მაჩვენებელი ერთნაირი გვქონდა, ორივე აგვწონეს და თურქი ჩემზე 400 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა, რის შედეგადაც ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

იმ ოლიმპიადაზე ჩემთვის კიდევ ერთი ფაქტი მოხდა. კერძოდ, ოგანთან ჭიდაობამდე ინდოელ სინგხს შევხვდი, რომელსაც 30 ქულა ავართვი, მაგრამ მაშინ აშკარა უპირატესობის გამო, მოჭიდავეს სუფთა გამარჯვებას არ ანიჭებდნენ. ერთ ეპიზოდში სინგხი წავაქციე და ის ბეჭებით ხალიჩასაც შეეხო. ხალიჩის არბიტრმა სუფთა გამარჯვება მომცა, მაგრამ გვერდითმა მსაჯებმა და მთავარმა რეფერიმ მხარი აღარ დამიჭირეს და მხოლოდ ქულებით გამარჯვება მომანიჭეს.

არადა, ჩემთვის სუფთა გამარჯვება რომ მოენიჭებინათ, აწონა აღარ დამჭირდებოდა და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდებოდი. ხანდახან ახლაც მესიზმრება ეს ეპიზოდები და სიმწრის ოფლში ვცურავ.

გუშინ გურამ საღარაძეს 77 წელი შეუსრულდა. ისევ ისევ ჭიდაობს სულიერად და თავის გამოცდილებას ახალგაზრდებს უზიარებს.

# ვასილ მაისურაძე გულშემატკივარს ბოდიშს უხდის

<u>საქართველო – იტალია 0:1</u>

**თბილისი.** მიხეილ მესხი

0:1 ფრატეზი (46)

**საქართველო:** გუგეშაშვილი, კიკალიშვილი, ასათიანი, ქაფიანიძე, ხარაბაძე, კუცია, შეწირული, ქავთარაძე, ჩაკვეტაძე (ნინუა 64), დავითაშვილი (გულბანი 56), სპანდერაშვილი (ოზბეთელაშვილი 35)

**იტალია:** პიზარი, ბელანოვა, ბიანკი, ბასტორი, სეტოლა, მარკუჩი, მილიტარი, ოლივიერი (გაბია 80), ფრატეზი, კინი, სკამაჩია (გორი 73)

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა მარცხით დაასრულა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდი. ვასილ მაისურაძის გუნდმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაშვებულ ერთადერთ გოლს ვერაფერი დაუპირისპირა და 3 ქულა იტალიას დაუთმო.

საქართველოს ნაკრებს, ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გარდა, დამატებითი პრობლემა ლევან ხარაბაძის გაძევებამაც გაუჩინა – მარცხენა მცველმა უწყინარ სიტუაციაში წითელი ბარათი მიიღო და გუნდი კაცნაკლული დატოვა.



**ვასილ მაისურაძე:**

– სამწუხაროდ, ეს ეტაპი ჩვენთვის წარუმატებელი გამოდგა. საკუთარ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. დღეს ძალიან ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იტალია ამ ასაკში ევროპის ერთ-ერთი გრანდია. ვაფრთხილებდი ფეხბურთელებს, პროვოკაციებს მორიდებოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენმა მცველმა ერთ ეპიზოდში მაინც დაუშვა შეცდომა. თამამად ვიტყვი, რომ თამაშით არავისთან დავჩაგრულვართ, 0 ქულისთვის კი გულშემატკივარს დიდ ბოდიშს ვუხდი.

ტურის მეორე მატჩში რუსეთის 17-წლამდე ნაკრებმა 2:1 მოუგო ბოსნია-ჰერცეგოვინას, თუმცა ბურთების შეფარდებით ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მაინც ბოსნიელებს დარჩათ.

# რუსული სპორტის დოპინგსკანდალს დასასრული არ უჩანს

მარია შარაპოვას შემდეგ მილდრონატის მოხმარებაში მძლეოსანი ნადეჟდა კოტლიაროვა ამხილეს. აღსანიშნავია, რომ კოტლიაროვა პირველი რუსი მძლეოსანია, რომელსაც ორგანიზმში მილდრონატი აღმოუჩინეს.

**ნადეჟდა კოტლიაროვა:**

– ორგანიზმში მხოლოდ 25 ნანოგრამი აღმოაჩინეს. თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ, უბრალოდ, გარემოებების მსხვერპლი ვარ! მილდრონატს ექიმების რჩევით წელიწადნახევრის განმავლობაში ვიღებდი, მაგრამ ამ პრეპარატის მოხმარება მაშინვე შევწყვიტე, როცა აღმოჩნდა, რომ აკრძალული იყო. გეტყვით, რომ კოტლიაროვამ 2013 წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო თებერვალში მოსკოვში გამართულ ზამთრის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. კოტლიაროვას შემდეგ კიდევ 3 რუსი მძლეოსანი ამხილეს მილდრონატის მოხმარებაში. ამის შესახებ ინფორმაცია რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა დმიტრი შლიახტინმა დაადასტურა.

შეგახსენებთ, რომ მილდრონატი 6 ქართველ მოჭიდავესაც აღმოაჩნდა.

მილდრონატი მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ სტეროიდთა სიაში ამა წლის 1 იანვრიდან შეიყვანა.

# შედეგები

**20 მარტი**

<u>**ფეხბურთი**</u>

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-სანდერლენდი .............. 1:1
საუთჰემპტონი-ლივერპული .......... 3:2
სიტი-მანჩესტერი ......................... 0:1
ტოტენჰემი-ბორნმუთი ................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 31 | 19 | 9 | 3 | 54-31 | 66 |
| 2.ტოტენჰემი | 31 | 17 | 10 | 4 | 56-24 | 61 |
| 3.არსენალი | 30 | 16 | 7 | 7 | 48-30 | 55 |
| 4.სიტი | 30 | 15 | 6 | 9 | 52-32 | 51 |
| 5.ვესტ ჰემი | 30 | 13 | 11 | 6 | 47-35 | 50 |
| 6.მანჩესტერი | 30 | 14 | 8 | 8 | 38-27 | 50 |
| 7.საუთჰემპტონი | 31 | 13 | 8 | 10 | 41-32 | 47 |
| 8.სტოკი | 31 | 13 | 7 | 11 | 34-37 | 46 |
| 9.ლივერპული | 29 | 12 | 8 | 9 | 45-40 | 44 |
| 10.ჩელსი | 30 | 10 | 11 | 9 | 45-41 | 41 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 10 | 9 | 11 | 30-37 | 39 |
| 12.ევერტონი | 29 | 9 | 11 | 9 | 51-41 | 38 |
| 13.ბორნმუთი | 31 | 10 | 8 | 13 | 38-50 | 38 |
| 14.უოტფორდი | 30 | 10 | 7 | 13 | 30-32 | 37 |
| 15.სუონსი | 31 | 9 | 9 | 13 | 31-40 | 36 |
| 16.კრ.პალასი | 30 | 9 | 6 | 15 | 32-40 | 33 |
| 17.ნორვიჩი | 31 | 7 | 7 | 17 | 32-54 | 28 |
| 18.სანდერლენდი | 30 | 6 | 8 | 16 | 36-55 | 26 |
| 19.ნიუკასლი | 30 | 6 | 7 | 17 | 29-55 | 25 |
| 20.ასტონ ვილა | 31 | 3 | 7 | 21 | 22-58 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ბილბაო ...................... 2:1
ვილიარეალი-ბარსელონა ............. 2:2
ვალენსია-სელტა ........................... 0:2
რეალი-სევილია ............................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 24 | 4 | 2 | 86-24 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 30 | 21 | 4 | 5 | 46-14 | 67 |
| 3.რეალი | 30 | 20 | 6 | 4 | 87-28 | 66 |
| 4.ვილიარეალი | 30 | 15 | 9 | 6 | 37-25 | 54 |
| 5.სელტა | 30 | 14 | 6 | 10 | 43-51 | 48 |
| 6.სევილია | 30 | 13 | 9 | 8 | 43-35 | 48 |
| 7.ბილბაო | 30 | 14 | 5 | 11 | 48-39 | 47 |
| 8.მალაგა | 30 | 10 | 9 | 11 | 29-28 | 39 |
| 9.ეიბარი | 30 | 10 | 8 | 12 | 42-42 | 38 |
| 10.დეპორტივო | 30 | 7 | 15 | 8 | 39-43 | 36 |
| 11.სოსიედადი | 30 | 9 | 8 | 13 | 37-41 | 35 |
| 12.ესპანიოლი | 30 | 10 | 5 | 15 | 31-56 | 35 |
| 13.ბეტისი | 30 | 8 | 10 | 12 | 27-40 | 34 |
| 14.ვალენსია | 30 | 8 | 10 | 12 | 33-36 | 34 |
| 15.ლას პალმასი | 30 | 9 | 6 | 15 | 32-42 | 33 |
| 16.რაიო | 30 | 6 | 10 | 14 | 41-63 | 28 |
| 17.გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 32-56 | 28 |
| 18.ხეტაფე | 30 | 7 | 7 | 16 | 28-52 | 28 |
| 19.ხიხონი | 30 | 7 | 6 | 17 | 32-52 | 27 |
| 20.ლევანტე | 30 | 6 | 6 | 18 | 28-54 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ტენერიფე-სარაგოსა ..................... 0:0
ბილბაო ბ-ხიმნასტიკი .................. 0:4

***ხიმნასტიკის მე-2 გოლი გიორგი აბურჯანიამ გაიტანა***

ხირონა-ლეგანესი ......................... 1:1
მალიორკა-მირანდესი .................. 1:1
პონფერადინა-უესკა ..................... 2:1
ნუმანსია-კორდობა ....................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-ლევერკუზენი .......... 0:2
აუგსბურგი-დორტმუნდი .............. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 22 | 3 | 2 | 65-13 | 69 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 20 | 4 | 3 | 64-26 | 64 |
| 3.ჰერტა | 27 | 14 | 6 | 7 | 37-27 | 48 |
| 4.შალკე | 27 | 13 | 5 | 9 | 39-35 | 44 |
| 5.გლადბახი | 27 | 13 | 3 | 11 | 54-44 | 42 |
| 6.ლევერკუზენი | 27 | 12 | 6 | 9 | 39-33 | 42 |
| 7.მაინცი | 27 | 12 | 5 | 10 | 35-33 | 41 |
| 8.ვოლფსბურგი | 27 | 10 | 8 | 9 | 39-34 | 38 |
| 9.კიოლნი | 27 | 8 | 9 | 10 | 28-34 | 33 |
| 10.ინგოლშტადტი | 27 | 8 | 9 | 10 | 23-31 | 33 |
| 11.შტუტგარტი | 27 | 9 | 5 | 13 | 43-54 | 32 |
| 12.ჰამბურგი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-38 | 31 |
| 13.დარმშტადტი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-41 | 28 |
| 14.ვერდერი | 27 | 7 | 7 | 13 | 36-54 | 28 |
| 15.აუგსბურგი | 27 | 6 | 9 | 12 | 33-43 | 27 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 27 | 6 | 9 | 12 | 30-43 | 27 |
| 17.აინტრახტი | 27 | 6 | 9 | 12 | 29-43 | 27 |
| 18.ჰანოვერი | 27 | 5 | 2 | 20 | 22-49 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ფიურტი ............................ 2:2
მინხენ 1860-არმინია ..................... 1:1
ნიურნბერგი-ლაიპციგი .................. 3:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ბოლონია ..................... 2:0
ვერონა-კარპი ................................ 1:2
სამპდორია-კიევო .......................... 0:1
ფროზინონე-ფიორენტინა ............. 0:0
ტორინო-იუვენტუსი ....................... 1:4
სასუოლო-უდინეზე ........................ 1:1
ნაპოლი-ჯენოა ................................ 3:1
მილანი-ლაციო ............................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 30 | 22 | 4 | 4 | 55-16 | 70 |
| 2.ნაპოლი | 30 | 20 | 7 | 3 | 62-24 | 67 |
| 3.რომა | 30 | 17 | 9 | 4 | 62-31 | 60 |
| 4.ფიორენტინა | 30 | 16 | 7 | 7 | 50-32 | 55 |
| 5.ინტერი | 30 | 16 | 7 | 7 | 40-28 | 55 |
| 6.მილანი | 30 | 13 | 10 | 7 | 40-31 | 49 |
| 7.სასუოლო | 30 | 11 | 12 | 7 | 37-33 | 45 |
| 8.ლაციო | 30 | 11 | 9 | 10 | 38-38 | 42 |
| 9.კიევო | 30 | 10 | 8 | 12 | 34-39 | 38 |
| 10.ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 30-35 | 36 |
| 11.ემპოლი | 30 | 9 | 9 | 12 | 34-42 | 36 |
| 12.ჯენოა | 30 | 9 | 7 | 14 | 32-37 | 34 |
| 13.ტორინო | 30 | 8 | 9 | 13 | 37-42 | 33 |
| 14.ატალანტა | 30 | 8 | 9 | 13 | 28-35 | 33 |
| 15.სამპდორია | 30 | 8 | 8 | 14 | 43-48 | 32 |
| 16.უდინეზე | 30 | 8 | 7 | 15 | 26-45 | 31 |
| 17.კარპი | 30 | 6 | 10 | 14 | 28-46 | 28 |
| 18.პალერმო | 30 | 7 | 7 | 16 | 28-51 | 28 |
| 19.ფროზინონე | 30 | 7 | 6 | 17 | 29-55 | 27 |
| 20.ვერონა | 30 | 2 | 13 | 15 | 26-51 | 19 |

**იტალია. სერია ბ**

კროტონე-პესკარა ......................... 4:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ბასტია .............................. 1:1
ნიცა-გაზელეკი .............................. 3:0
პსჟ-მონაკო .................................. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 24 | 5 | 2 | 77-17 | 77 |
| 2.მონაკო | 31 | 14 | 13 | 4 | 46-34 | 55 |
| 3.ნიცა | 31 | 14 | 8 | 9 | 46-33 | 50 |
| 4.ლიონი | 31 | 14 | 7 | 10 | 49-33 | 49 |
| 5.რენი | 31 | 12 | 12 | 7 | 47-38 | 48 |
| 6.კაენი | 31 | 14 | 4 | 13 | 34-40 | 46 |
| 7.სტ.ეტიენი | 31 | 13 | 6 | 12 | 36-34 | 45 |
| 8.ნანტი | 31 | 11 | 11 | 9 | 29-30 | 44 |
| 9.ლილი | 31 | 10 | 13 | 8 | 26-24 | 43 |
| 10.ანჟე | 31 | 11 | 9 | 11 | 34-32 | 42 |
| 11.ბასტია | 31 | 11 | 7 | 13 | 29-32 | 40 |
| 12.მარსელი | 31 | 8 | 15 | 8 | 42-36 | 39 |
| 13.ლორიანი | 31 | 9 | 12 | 10 | 42-47 | 39 |
| 14.ბორდო | 31 | 9 | 12 | 10 | 39-49 | 39 |
| 15.გენგამი | 31 | 10 | 8 | 13 | 37-45 | 38 |
| 16.მონპელიე | 31 | 10 | 6 | 15 | 36-38 | 36 |
| 17.რეიმსი | 31 | 8 | 9 | 14 | 34-44 | 33 |
| 18.გაზელეკი | 31 | 7 | 12 | 12 | 31-43 | 33 |
| 19.ტულუზა | 31 | 5 | 11 | 15 | 32-49 | 26 |
| 20.ტრუა | 31 | 2 | 8 | 21 | 22-70 | 14 |

**ჰოლანდია. ეკიდივიზიონი**

ტვენტე-ალკმაარი ........................ 2:2
დენ ჰააგი-ნაიმეგენი ...................... 1:0
გრონინგენი-ვიტესი ....................... 0:3

***ვიტესის მე-2 გოლი ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა***

პსვ-აიაქსი ...................................... 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აკადემიკა-ეშტორილი .................. 0:3
ნასიონალი-გიმარაეში ................. 3:2
ფერეირა-მორეირენშე ................. 0:0
ტონდელა-ბელენენსეში .............. 2:2
ბოავიშტა-ბენფიკა ........................ 0:1
ბრაგა-მადეირა ............................. 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ზენიტი ............................. 0:2
რუბინი-მორდოვია ........................ 1:1
კრასნოდარი-ლოკომოტივი .......... 1:2

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

დ.იუნაიტედი-დანდი ..................... 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-ციურიხი ........................... 0:3
გრასჰოპერსი-ლუგანო ................. 0:1
სიონი-ბაზელი ............................... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-რაპიდი ............................... 1:0

**ბელგიის თასი**

**ფინალი**

ბრიუგე-სტანდარდი ...................... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-აეკი ..................... 1:0
პანთრათიკოსი-ატრომიტოსი ........ 0:1
პაოკი-კალონისი ........................... 3:0
ასტერასი-ოლიმპიაკოსი .............. 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ბასაკშეჰირი ....................... 1:1
მერსინი-გაზიანთეპი ..................... 0:0
ბურსა-ქაშიმფაშა .......................... 4:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ლიბერეცი-პლზენი ....................... 0:1
სპარტა-სლავია ............................ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ზაგლებიე ...................... 0:2
ლეხია-ნეცეჩა ............................... 1:1
პოგონი-კრაკოვია ........................ 2:2

**უკრაინა. პარი მატჩ ლიგა**

ოლიმპიკი-ვოლინი ...................... 1:1
კარპატი-დნიპრო ......................... 0:1
დინამო-ზორია ............................. 1:0

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-მიდტიულანდი ....... 3:2
რანდერსი-ვიბორგი ..................... 1:3
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ...... 2:0
ბრონდბიუ-ესბიერგი ................... 0:0

**შვედეთი. თასი**

ჰამარბი-ჰაკენი ............................. 2:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სონგდალი-ვალერენგა ................. 1:0
ბრანი-ოდ გრელანდი ................... 0:0
ვიკინგი-საპსბორგი ..................... 0:0
ლილესტრიომი-ბოდო გლიმტი ..... 1:1
სტაბეკი-მიოლდე ......................... 1:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# გაი რიჩის მხარს განქორწინებული მამები უჭერენ



ბრიტანელმა რეჟისორმა გაი რიჩიმ მომღერალ მადონასთვის მათი 15 წლის შვილ როკო ჯონ რიჩიზე მზრუნველობის უფლების ჩამორთმევის საკითხზე გასამართ სასამართლო მოსმენაზე, დახმარებისთვის განქორწინებული მამების ორგანიზაციას მიმართა. ამ საქმეში 47 წლის კინომოღვაწე მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს.

ორგანიზაციის დამფუძნებელმა მეთ ო,კონორმა განაცხადა, რომ ორგანიზაცია საქმის სასამართლო განხილვის დროს დახმარებას უწევს ათასობით მარტოხელა მამას, მათ შორის რამდენიმე ცნობილ პიროვნებასაც. მისი თქმით, არ აქვს „რაიმე კანონიერი საფუძველი" სახალხოდ მიყენებულ შეურაცხყოფას, რომელიც 57 წლის პოპ-ვარსკვლავმა რიჩის ტურნეს ფარგლებში ამერიკის ტენესის შტატში გამართული კონცერტის დროს მიაყენა. მომღერალმა ყოფილი ქმარი სცენიდან უშვერი სიტყვებით შეამკო.

ბრიტანელი რეჟისორის წარმომადგენლებმა მომხდარის კომენტირებაზე უარი განაცხადეს. ასევე უცნობია თუ რა რჩევა მისცა განქორწინებული მამების ორგანიზაციამ.

# მსოფლიოს ყველაზე უბედურ ქვეყნად ბურუნდი აღიარეს




მსოფლიოს ყველაზე უბედურ ქვეყნად ბურუნდი, ხოლო ყველაზე ბედნიერად დანია დასახელდა. ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაკვეთით ჩატარებული კვლევები.

დანიამ პირველ ადგილზე გასული წლის ლიდერი შვეიცარია ჩაანაცვლა, რომელიც ამჯერად მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ყველაზე მეტნაკლებად უზრუნველყოფილი ქვეყნების პირველ ათეულში ასევე შევიდნენ: ისლანდია, ნორვეგია, ფინეთი, კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრალია, შვედეთი.

ბურუნდი რეიტინგის ბოლო 157-ე ადგილზე აღმოჩნდა. მას გაუსწრეს: სირიამ, ტოგომ, ავღანეთმა, ბენინმა. მათ 156-153 ადგილები გაინაწილეს.

გამოკვლევის ავტორები განმარტავენ, რომ მოსახლეობის ბედნიერების დონე ყოველთვის არ შეესატყვისება ქვეყნის ცხოვრების დონეს. მოსახლეობის კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს ეკონომიკისა და სოციალური ბუნებრივი ფაქტორების კომბინაცია.

# ჰალკ ჰოგანმა მეგობრის ცოლს სასამართლო მოუგო

ფლორიდის შტატის ნაფიცმსაჯულთა ჟიურიმ ამერიკელ რასტლერ ტერი ბოლეას, რომელიც ჰალკ ჰოგანის სახელითაა ცნობილი, 115 მილიონი დოლარის კომპენსაცია დაუნიშნა ინტერნეტ პორტალის მიერ ვიდეორგოლის გამოქვეყნების გამო, რომელზეც ასახულია, რომ შოუმენი სექსითაა დაკავებული თავისი მეგობრის მეუღლესთან.

ჰოგანის ადვოკატებმა მოახერხეს



დაემტკიცებინათ, რომ გამოცემა მსახიობის პირად ცხოვრებაში შეიჭრა, ხოლო თავად ჩანაწერი ინფორმაციულ მასალას არ წარმოადგენს. შოუმენი, როგორც მისმა ადვოკატმა აღნიშნა, კმაყოფილია სასამართლო პროცესის შედეგით.

— ეს არა მხოლოდ ჰოგანის გამარჯვებაა, არამედ ყველა იმ პიროვნების, ვინც ტაბლოიდური ჟურნალისტიკისგან დაზარალდა, — განაცხადა რესტლერის ადვოკატმა, ხოლო მისმა მეორე წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინტერნეტ-რესურსის მიზანს ჰაკლის რეპუტაციის შებღალვა წარმოადგენდა.

თავად ბოლეამ ტვიტერში საკუთარ გვერდზე საქმის შედეგის კომენტირებისას ღმერთს მადლობა შესწირა სამართლიანობისთვის.

# კოკო შანელი ფაშისტებთან თანამშრომლობდა

ცნობილი ფრანგი დიზაინერი გაბრიელ (კოკო) შანელი მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების აგენტების სიაში ირიცხებოდა. ამას მოწმობს საფრანგეთის სპეცსამსახურების არქივში დაცული საბუთები, რომლებიც ახლახან იქნა გამომზეურებული.

კოკო შანელის სახელი მოხსენიებულია სხვა ათას აგენტს შორის, რომელთა დოსიეები პარიზიდან აღმოსავლეთით მდებარე ვერსენის ციხესიმაგრეში ინახებოდა. საბუთში დევს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც 1942-43 წლებში ის „ბარონ განს გიუნტერ ფონ დინკლაგეს საყვარელი და აგენტი" იყო, რომელსაც 1935 წელს საფრანგეთში გერმანიის საელჩოში ატაშეს თანამდებობა ეკავა.

„ის აგიტატორად მუშაობდა და ეჭვი გვაქვს, რომ ის გერმანიის აგენტი იყო", — ნათქვამია დოსიეში.

არქივის პასუხისმგებელი მუშაკის ფრედერიკ კუგინერის თქმით, აღნიშნული ჩანაწერი იმაზე მიუთითებს, რომ კოკო შანელი აბვერის — გერმანიის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის აგენტად ითვლებოდა. თუმცა, ამავე დროს, კუგინერი იმასაც აცხადებს, რომ შესაძლოა გერმანელები დიზაინერს ინფორმაციის პოტენციურ წყაროდ მიიჩნევდნენ, ხოლო თავად მას შესაძლოა ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



## სპორტი

# იუვენტუსი ოლივიე ჟირუთი დაინტერესდა



ტურინის იუვენტუსი წლევანდელ ზაფხულში ფორვარდის ყიდვას გეგმავს და ტურინელებმა შესაძლოა არჩევანი არსენალის ფრანგ თავდამსხმელზე ოლივიე ჟირუზე შეაჩერონ.

ჟირუ არსენალის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და მას წლევანდელ სეზონში 20 გოლი აქვს გატანილი, თუმცა ოლივიე არასტაბილურია და ყოველთვის ვერ აჩვენებს მაღალი დონის ფეხბურთს.

იუვენტუსი არსენალს 19 მილიონ ევროს სთავაზობს, თუმცა ეს თანხა მომავალში შეიძლება გაიზარდოს. ჟირუ საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეა და ევრო 2016 ის შემდეგ სავარაუდოდ მისი მომავალიც გაირკვევა.

იუვენტუსი პსჟ-ს ურუგვაელი ფორვარდით ედისონ კავანითაც არის დაინტერესებული, თუ ჟირუს ტრანსფერი ჩაიშლება

# ჯო ჰარტი ერთ თვეს გამოტოვებს



მანჩესტერ სიტის პრობლემები არ ელევა. მანუელ პელეგრინის გუნდი ზედიზედ სამ შეხვედრაში ვერ ახერხებს გოლის გატანას და კლუბში აშკარა კრიზისი სუფევს, რომელსაც ჯო ჰარტის ტრავმაც დაემატა.

ჰარტმა ტრავმა მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო და ის არგენტინელმა მეკარემ ვილი კაბალიერომ შეცვალა.

როგორც აღმოჩნდა ჰარტს კუნთის ტრავმა აქვს და მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება.

ჰარტი ინგლისის ნაკრების პირველი მეკარეა და ეროვნული გუნდის ამხანაგურ შეხვედრებსაც გამოტოვებს. ჰარტის გარდა, ტრავმა მიიღო რაჰიმ სტერლინგმაც, რომელსაც სავარაუდოდ ორი სამი კვირა გაუცდება.

შეგახსენებთ, რომ პელეგრინი სეზონის ბოლოს მანჩესტერ სიტის დატოვებს და მის ადგილს პეპ გვარდიოლა დაიკავებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# 19 წლამდე ნაკრები ესპანეთშია და ელიტ რაუნდისთვის ემზადება

საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ესპანეთშია, სადაც 24-29 მარტს გიორგი ყიფიანის გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ელიტ-რაუნდში ითამაშებს.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებს ელიტ-რაუნდში სერიოზული მეტოქეები ჰყავს — ესპანეთი, ინგლისი და საბერძნეთი.

პირველ მატჩს ჩვენები 24 მარტს ინგლისულ თანატოლებს გაეჯიბრებიან, 26 მარტს მათი მეტოქე მასპინძლები იქნებიან, ხოლო 29 მარტს საბერძნეთს შეხვდებიან.

**გიორგი ყიფიანმა სევილიაში შემდეგი 18 ფეხბურთელი წაიყვანა:**

**მეკარეები:** ოთო გოშაძე (საბურთალო), გიორგი ჩოჩიშვილი (საბურთალო);

მცველები: ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), ლუკა ლოჩოშვილი (დინამო), რომან ჩაჩუა (შუქურა), ირაკლი კომახიძე (შუქურა), ვლადიმერ მამუჩაშვილი (საბურთალო), გიორგი ახალაძე (სამტრედია);

**ნახევარმცველები:** დავით სამურკასოვი (ლოკომოტივი), სანდრო ალთუნაშვილი (საბურთალო), ირაკლი ბიძინაშვილი (საბურთალო), გიორგი ბერიძე (გენტი, ბელგია), რატი არდაზიშვილი (ლოკომოტივი), შერმადინ ართმელაძე (ლოკომოტივი), გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი);

**თავდამსხმელები:** გურამ გოშთელიანი (საბურთალო), ბექა მიქელთაძე (დინამო), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა).

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

# ასტროპროგნოზი
## 22 მარტისათვის



**ვერძი** — პასიური დღეა. ერიდეთ საქმიან კონტაქტებს. შეეცადეთ, ნებისმიერი უსიამოვნება ფილოსოფიურ ჭრილში განიხილოთ. **კურო** — მშვიდი და გაწონასწორებული დღეა, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროთ. მეტი ყურადღება ოჯახის წევრებსა და შინაურ ცხოველებს დაუთმეთ. **ტყუპები** — მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ. გამორიცხული არ არის ჩხუბი ეჭვიანობის ნიადაგზე, ასევე — ფინანსური პრობლემები. ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **კირჩხიბი** — საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. იმისათვის, რომ მიზანს მიაღწიოთ, დრო სწორად უნდა გაანაწილოთ. **ლომი** — ნუ აჰყვებით ჭორებსა და მითქმა-მოთქმას. საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. გაუფრთხილდით ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან. **ქალწული** — ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით, ნურც თქვენ მიენდობით სხვებს — დიდია მოტყუების ალბათობა. **სასწორი** — მატერიალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ეცადეთ, დაფიქრდეთ, რა არის ამის მიზეზი და ისე იმოქმედეთ. შედეგი სასარგებლო იქნება. **ღრიანკალი** — დღის პირველ ნახევარში საყიდლებზე წასვლა და მსხვილი კაპიტალდაბანდებები იღბლიანი იქნება. საღამოს ყოველგვარი კომერციული საქმიანობა აღკვეთეთ. ემოციები მოთოკეთ. **მშვილდოსანი** — ახალი ენერგიით აღივსებით, რაც მიზნის მიღწევაში ძალიან დაგეხმარებათ. ხელმძღვანელობა თქვენს ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. **თხის რქა** — ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით, ნურც თქვენ მიენდობით სხვებს — დიდია მოტყუების ალბათობა. **მერწყული** — კარგი პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. გელით ფინანსური მოგება. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **თევზები** — პარტნიორისგან კარგ ახალ ამბავს შეიტყობთ. იღბლიანი დღეა მსხვილი კაპიტალდაბანდებებისა და ბიზნეს-კონტაქტებისათვის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი. 3. რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულება; 4. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 5. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 6. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 8. ტკბილეული, დესერტი; 11. ეთერზეთების შემცველი ზოგი მცენარის სურნელოვანი წვენი; 14. დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; 15. ბაღის სასხლავი მაკრატელი; 16. ფასიანი ქაღალდი; 17. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 19. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 21. თაფლში მოხარშული ხორბალი; 22. მცენარეთა სამყარო.

**თარაზულად:** 1. აეროპორტი მილანში; 5. პატარა რესტორანი; 7. სვანური სახლის ქვედა სართული; 9. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 12. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის შაქრად გარდაქმნას ორგანიზმში; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. თურქეთის ძველი სახელწოდება; 17. სასულე ორკესტრის შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 18. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 20. მოკლელულიანი შაშხანა; 22. კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 23. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ღვიძლის დაავადება; 25. ზნეობრივი ხასიათის მოკლე, ალეგორიული მოთხრობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ზარდახშა; 6. კრემაცია; 8. იდეალიზაცია; 10. არომატი; 11. ბარი; 12. ეთნოსი; 14. მანია; 17. პიურე; 19. მარლა; 20. მერინოსი; 21. იოტა; 22. კათარსისი; 23. კარტუზი.

**შვეულად:** 1. სარდაფი; 2. მეგალითი; 3. პიასტრი; 5. აბლაბუდა; 7. უცხოეთი; 9. ლაბირინთი; 13. პენუარი; 15. აკაცია; 16. მოდელი; 18. პრიმა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პარაბოლა; 2. ან; 3. ნიყვი; 4. ოყა; 5. ავა; 6. იდეა; 7. პარეზი; 8. „ავატარი"; 9. პაატა; 10. კაროლ; 11. ადელაიდა; 12. ნდობა; 13. ტვერი; 14. აკვარელი; 15. ზნე; 16. ილი; 17. ინა; 18. პანსა; 19. პარტია; 20. ბატატი; 21. პაი; 22. მისის; 23. სატირა; 24. დანტე; 25. იო; 26. ადა; 27. „ლამარა"; 28. იიპე; 29. ბელკანტო; 30. მარაო; 31. კამერა; 32. რამლი.

**სურათებზე:** ადრიანა ესტევესი; რაფაელ ვან დერ ვარტი.

# ნანუკა ჟორჟოლიანი სასამართლოთი იმუქრება



ჟურნალისტი და „ნანუკას შოუს“ წამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი სასამართლოში ჩივილით იმუქრება. მას შემდეგ, რაც ინტერნეტში ერთ-ერთმა გვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ნანუკა ჟორჟოლიანი გიგი უგულავაზე მატროსოვის ციხეში გათხოვდა, ჟურნალისტმა კატეგორიულად მოითხოვა მათგან ინფორმაციის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში ჩივილით დაემუქრა.

როგორც ნანუკას მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ვებგვერდს „სკანდალური“ ინფორმაცია ინკოგნიტო წყარომ მიაწოდა, რომელიც სოციალურ ქსელში „ასლან აბაშიძის“ სახელით და გვარით დარეგისტრირდა:

– ნანუკა ჟორჟოლიანი გათხოვდა გიგი უგულავაზე მატროსოვის ციხეში ოფიციალურად. მეგობრობა გადაეზარდათ ქორწილში. მასალას უფასოდ განვდით მხოლოდ და მხოლოდ ერთგულების ნიშნად. ამის შემდეგ კი ვაუქმებ ფეისბუქს, – წერია განცხადებაში.

ვებგვერდი, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, ემიგრანტებისთვის არის განკუთვნილი. ნანუკა ამ ამბავს საჯარო განცხადებით გამოეხმაურა:

– როდესაც ემიგრანტების 90% შენგან იღებს ინფორმაციას, როდესაც გაქვს პრეტენზია გერქვას სააგენტო, შუბლზე ძარღვი არ უნდა გაიწყვიტო და ორლობის ჭორიკანასავით არ უნდა დაწერო ყველა მარაზმი!

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შექმნას ტროლი და შეაგდოს ინფორმაცია სააგენტოში, ამ დროს რას ვშვებით! ყველანაირ დებილობას, სისულელეს და იდიოტობას ვწერთ სააგენტოზე! დროს გაძლევ აიღო ეს სისულელე შენი გვერდიდან, თორემ სასამართლოში შევხვდებით!

# გოჩა ჩერტკოევი თბილისშია

მსოფლიოში ცნობილი მეგა შოუს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის ერთ-ერთი უცვლელი წევრი, ყველაზე მკაცრი და დაუნდობელი გოჩა ჩერტკოევი თბილისშია. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, აპრილიდან დაიწყება „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე სეზონი და ის უკვე საერთაშორისო პროექტი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტში მონაწილე კონკურსანტების ვინაობა მკაცრად არის გასაიდუმლოებული, უკვე ცნობილია, რომ ერთ-ერთი წყვილი მოცეკვავე ოთო ფოლადაშვილი და მოდელი ანა ახვლედიანი იქნებიან. „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობას მიიღებს სუსტი სქესის წარმომადგენლების გულთამპრობელი, მსახიობი სტანისლავ ბონდარენკოც.

**გოჩა ჩერტკოევი:**

– ძალიან მალე მეექვსე სეზონს ვიწყებთ. გპირდებით, რომ ახალი სეზონი იქნება დაუვიწყარი. ეს იქნება ნამდვილად გრანდიოზული და დაუვიწყარი შოუ. პირველი წელია, როცა ვაკეთებთ საერთაშორისო სეზონს, ამიტომ შედეგი მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბებს.

***– წელს „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ უცხოელი მონაწილეებიც იქნებიან?***

– კი. მაგრამ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, დაველოდოთ და ერთად ვნახოთ. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მონაწილეები იქნებიან.

***– სპეციალური სტუმრები?***

– მთლიანი შოუ წელს არის ძალიან საერთაშორისო, მართლა მეგა გამოგვივიდა. არაფრის თქმა არ შემიძლია, გამლახავენ. მსოფლიოს მასშტაბით იქნება ყველაფერი, დიდი შოკი და სიურპრიზები. დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებლებს ძალიან მოეწონებათ.

***– იცეკვებენ თუ არა პროფესიონალებთან ერთად ფართო საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები?***

– პროექტში ძალიან პოპულარულები არიან ჩართული, მათ შორის, მსახიობები, ხელოვანი ხალხი იდგება სცენაზე, მაგრამ წელს მარტო საქართველოთი არ შემოვიფარგლეთ, შეიძლება იყოს უცხოელი ვარსკვლავი, ჟიურის წევრი, პროფესიონალი.

***– ჟიურის წევრების ვინაობაც გასაიდუმლოებულია?***

– რა თქმა უნდა, მარტო იმას ვიტყვი, რომ იქნებიან ნაცნობი სახეები და, რა თქმა უნდა, უცხოელებიც.

***– როდის დაიწყება „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე სეზონი?***

– აპრილში დაიწყება და მაგარი შოუ იქნება. „ცეკვავენ ვარსკვლავები“ არის ფორმატი, სპეციფიკური არენა აქვს აშენებული, წინა სეზონზე ჩვენ ავაშენეთ პავილიონი, რაც დიდი ბიუჯეტი დაჯდა, ამისთვის მადლობას ვეუბნები იმედის ხელმძღვანელობას. რაც შეეხება, როგორ გამოიყურება სცენა, ჩვენ მას ვერ შევცვლით, ეს არის სტანდარტი, ბიბისი წყვეტს და მთელი მსოფლიო იმეორებს ამ სტანდარტს, ამიტომაც გამონაკლისები ვერც ჩვენ ვერ ვიქნებით.



***– საქართველოში იისფერი წვერით დაბრუნდით. ეს ახალი მოდაა?***

– ეს არის ჩემი ახალი იმიჯი და არაფერს განსაკუთრებულს არ ნიშნავს. მომწყინდა ერთფეროვნება და სიახლე შევიტანე ჩემს გარეგნობაში. ესთეტიკურად სახეზე წვერი ლამაზი არ არის, მით უმეტეს, შავი წვერი, ამიტომ შევიღებე. ხელოვანი ვარ, მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მხატვარი... მიყვარს სიახლეები, თანაც ვიღაც ხომ უნდა გაგიჟდეს? ამიტომაც გავგიჟდი!

# გურამ დოჩანაშვილი საქართველოში მოგზაურობს



ქართველი კლასიკოსი მწერალი გურამ დოჩანაშვილი პროექტით „საუბრები გურამ დოჩანაშვილთან“ საქართველოში მოგზაურობს. ის სხვადასხვა ქალაქებში თავის ერთგულ მკითხველს ხვდება და მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხობს.

ერთ-ერთი ბოლო საღამო მკითხველთან მწერალმა რუსთავის თეატრში გამართა. ზუგდიდელი მკითხველის შემდეგ, დოჩანაშვილი რუსთაველ მკითხველს შეხვდა. მან საკუთარ შემოქმედებასა და ცხოვრების საინტერესო მომენტებზე ისაუბრა.

ღონისძიებას მწერლები, პოეტები და გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. მწერალმა თავის წიგნებზეც ისაუბრა და ის მნიშვნელოვანი ეტაპებიც გაიხსენა, რამაც მის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

– ძალიან მნიშვნელოვანია პირადად ჩემთვის ასეთი შეხვედრები. ეს დიდი სიხარულია, დიდი ბედნიერებაა, როცა გრძნობ, რომ ტყუილად არ გიმუშავია. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ და როცა ჩემი მკითხველის ანთებულ თვალებს ვხედავ, კიდევ უფრო მეტის გაკეთების სურვილი მიჩნდება, – განაცხადა გურამ დოჩანაშვილმა.

# ეროსი მანჯგალაძე 91 წლის გახდებოდა

კინოსა და თეატრის გამორჩეული ქართველი მსახიობი ეროსი მანჯგალაძე 91 წლის გახდებოდა. კოლეგა მისმა მეგობრებმა გაიხსენეს და იმ პერიოდზე ისაუბრეს, როდესაც მსახიობი რუსთაველის თეატრში გამორჩეულ და სახასიათო როლებს ქმნიდა.

ეროსი მანჯგალაძე სხვადასხვა წლებში სხვადასხვა თეატრში მუშაობდა, თუმცა რუსთაველის თეატრში განსახიერებული გმირები მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდია.

მსახიობობის პარალელურად, ის დიქტორობით და კომენტატორობითაც იყო გატაცებული და რადიოსა და ტელევიზიაში მუშაობდა. თავის პედაგოგად კი ამ საქმეში კოტე მახარაძეს თვლიდა.

პირველი როლი 6 წლის ასაკში შეასრულა. საბავშვო სპექტაკლში, რომელიც სოფლის სკოლაში დაიდგა, კურდღელს თამაშობდა. თეთრი კოსტიუმი ეცვა, თავზე დიდი ყურები ეკეთა და სცენაზე დახტოდა. მისი თამაში ყველას მოეწონა. როცა სოფლიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, წარმოდგენებზე ხშირად დადიოდა. მის ოჯახში თეატრი ძალიან უყვარდათ. ახალგაზრდობაში ეროსის არასოდეს უფიქრია, რომ მსახიობი გამოვიდოდა. ჯერ მათემატიკოსობა უნდოდა. შემდეგ სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა. მაგრამ სამხედროთა პროფესია კი არ იზიდავდა, ოფიცრების ფორმა მოსწონდა. მე-10 კლასში კი მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. მის სკოლაში რუსთაველის თეატრის მსახიობებმა „რღვევა“ დადგეს. ეროსიმ ისე კარგად ითამაშა, რუსთაველის თეატრის მსახიობები მისი თამაშით აღფრთოვანდნენ. ეროსიმ სამხედრო ექიმობაზე ფიქრი შეწყვიტა და თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარა.

17 წლის იყო, როცა რადიოკომიტეტში დიქტორების კონკურსი გაიმართა. 32 კონკურსანტს შორის ეროსიმ გაიმარჯვა და რადიოში დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ ის ოჯახის უფროსი გახდა. მამა უკვე დაჭერილი იყო, დედა ლოგინად ჩავარდნილი, ამიტომ ოჯახზე ეროსი ზრუნავდა. რადიოკომიტეტში მუშაობის გამო, თეატრალურ ინსტიტუტში ლექციებს ხშირად აცდენდა.



საკუთარი ნიჭის წყალობით მან სცენაზე ადგილის დამკვიდრება მესამე კურსიდან შეძლო. გიორგი ტოვსტონოგოვმა გორკის „მდაბიონი“ დადგა. ტეტერევის როლზე მან ეროსი მიიწვია. პირველ სპექტაკლს პირველი აღიარება მოჰყვა, თუმცა მისი სრულფასოვანი დებიუტი ინსტიტუტის დასრულების შემდეგ შედგა სპექტაკლში „ღრმა ფესვები“.

იმ დროს ყველა სპექტაკლი შემოწმებას ცეკაში გადიოდა. აფიშის ტექსტიც კი მოწმდებოდა. ცენზურა ცეკას იდეოლოგიის განყოფილებას ევალებოდა, რომელსაც შადური ხელმძღვანელობდა.

როდესაც შადურს დასაბეჭდად გამზადებული აფიშის ტექსტი მიუტანეს, მან აფიშა დაიწუნა. ცეკას მდივანს მთავარი როლის შემსრულებლის სახელი არ მოეწონა, სახელი ეროსი საბჭოთა მსახიობს არ შეეფერება, ეს ბერძნული ღმერთის სახელიაო. მოდით, ეროსის ნაცვლად ერასტი დავწეროთო. ამაზე ეროსი ძალიან გაბრაზდა და სპექტაკლის თამაშზე საერთოდ უარს ამბობდა. ბოლოს ცეკამ კომპრომისული ვარიანტი გამოძებნა. აფიშაზე ეროსის სახელი შეამოკლეს და ერ. მანჯგალაძე დაწერეს.

ეროსიმ ბინა თბილისში ბარნოვის ქუჩაზე მიიღო. ეს ის ცნობილი კორპუსი იყო, სადაც რუსთაველის თეატრის მსახიობები ცხოვრობდნენ. ჩემი ძმა იმ ბინაში გადავიდა და სიცოცხლის ბოლო წლები იქ გაატარა. ეროსი მარტო ცხოვრობდა. მას არც მეუღლე ჰყავდა და არც შვილი.

ლენა ყიფშიძესთან მისი ქორწინება ხანმოკლე და უიღბლო აღმოჩნდა. ეროსი სახლში მარტო ვერ ძლებდა. მის გვერდით ვინმე აუცილებლად უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით მაშინ უჭირდა, როდესაც სპექტაკლი არ ჰქონდა. მისი საყვარელი გართობა მეგობრებთან ბანქოს და ნარდის თამაში იყო.

თამაში აუცილებლად ეროსის უნდა მოეგო, თუ არადა, ცუდ ხასიათზე დგებოდა. მეგობრებმა ეს იცოდნენ და მისგან შეუმჩნევლად ისე აკეთებდნენ, რომ მასპინძელი ყოველთვის მოგებული ყოფილიყო. მეგობრებთან საღამო ტრადიციულად სუფრასთან გრძელდებოდა.

როცა ელენე ყიფშიძე შეირთო ცოლად, 37 წლის იყო. ერთ თეატრში თამაშობდნენ და ერთმანეთი შეუყვარდათ. აკაკი ხორავამ ეროსი გააფრთხილა კიდეც, ლენას ყურადღება, მოვლა სჭირდება და აბა, შენ იციო. ლენა ძალიან კარგი გოგო იყო, კარგი პიროვნება, მაგრამ რატომღაც მისი და ეროსის ურთიერთობა ვერ აეწყო. მათი ოჯახი 3 თვეში დაინგრა. დაშორებას ორივე ძალიან განიცდიდა. ასეთი უიღბლობის შემდეგ ეროსის ოჯახის შექმნაზე აღარ უფიქრია. როცა ეროსი გარდაიცვალა და თეატრში დაასვენეს, საპატიო ყარაულში ელენე ყიფშიძეც იდგა.

ეროსი მანჯგალაძე 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. მსახიობის სახელის უკვდავსაყოფად მის სახელს ატარებს სპორტული სტადიონი სამტრედიაში, თბილისში კი ერთ-ერთ ქუჩას ეროსი მანჯგალაძის სახელი ეწოდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე მაყვალა ქარჩავა, შვილები დათო და გიორგი კვარაცხელიები: ჩვენი ოჯახისთვის დიდად დასანანია, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**ფელიქს ვაჟას ძე კვარაცხელია**

გამოსვენება: 22 მარტს, 14 საათზე, ვაკის პატარა სამების ეკლესიიდან.

**ნათელა ქარჩავა**

**გელა გელენიძე**

კიდევ ერთი კეთილშობილი, მოსიყვარულე, ერთგული ვაჟკაცი დააკლდა ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ქუთაისს. დაგვიტოვა დიდი სევდა და გულისტკივილი.

უფალმა გაანათლოს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო გელა.

**მეგობრები**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**სამშაბათი 22 მარტი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.05** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ " ჯეიმის კერძები 30 წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ცხოვრება ციფრებში" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.53** "ეპოქის ფრაგმენტი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ამერიკელი განგსტერი**" (რ.ქროუ)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ნამდვილი პანამა" **13.00** დ/ფ "კიდევ სცადე" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **(5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **8** სერ. **22.00** ცოდნა ფულია **23.00** სერ. "**ტრანსპორტერი**" **3" 4** სერ. **00.45** მხ/ფ. "**მიჩუმებული ყვირილი**" (მ.როსმანი) **02.25** მხ/ფ. "**კეთილშობილი ვენეციელი**" (კ.მორი) **04.10** ერთხელ საქართველოში

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ."**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30** Discovery- როგორ არის დედამიწა მოწყობილი **10.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **15.30** Discovery- მენტალისტი კით ბარი **16.30** აირჩიე კაბა - მეჯვარეები **17.00** ლომბარდის დედოფლები **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30 20.30 22.00** მხ/ფ "**შიშის ღამე**" **23.55** ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი **0.55, 2.45** URBAN STORIES **1.45,**ჯიდიპედია

**06.10** მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** ზღვარზე-პატრიარქი **11.10** თაობა ზეტი **11.30** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** დ/ფ "საქართველოს ცის ქვეშ...." **12.50** მოკ. მხ/ფ "**წყარო გზის პირას**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კიპარისი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** დ/ფ "გზა" V **16.30** დ/ფ "საგუშაგო კოშკი" **17.30** სიბრძნისმეტყველება **17.45** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე-ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სჯანი **19.50** ღია აუდიტორია "რისმაგ გორდეზიანი" II ნაწ. **20.30** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა "ილია II" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05, 5.00** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30,** სერ. "**ერთხელ ოდესაში**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.3157
- ევრო — 2.6105
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3446
- 100 რუსული რუბლი — 3.3969

## ამინდის პროგნოზი 22 მარტისთვის




# 23 მარტიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან" ერთად

# თომას კენილი

# შინდლერის სია




„შინდლერის სია" ავსტრიელი ფაბრიკის მფლობელის, ნაცისტური პარტიის წევრ ოსკარ შინდლერის ნამდვილი ისტორიაა, რომელმაც უდიდესი რისკისა და თანხის ფასად თავის ქარხნებში მომუშავე ათასზე მეტი გეტოელი ებრაელი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

სტივენ სპილბერგის მიერ 1993 წელს გადაღებულმა მრავალი ოსკარის მფლობელმა ფილმმა „შინდლერის სიამ" არაადამიანურ სისტემასთან ფარულად მებრძოლი ოსკარ შინდლერი მთელ მსოფლიოს გააცნო და შეაყვარა.

## გაზეთი „ახალი თაობა" წარმოგიდგენთ წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

### შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით



















- 25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
- 1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
- 8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
- 15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
- 22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
- 29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა



## კალეიდოსკოპი

### ამერიკელმა შემთხვევით 400 ათას დოლარიანი ბეჭედი გადააგდო



ამერიკის მისურის შტატის მცხოვრებმა ბერნი სკატიერიმ შემთხვევით თავისი მეუღლის კარლას საქორწილო ბეჭედი გადააგდო, რომლის ღირებულება 400 ათას დოლარს შეადგენს. როდესაც მიხვდნენ რაც მოხდა, ცოლ-ქმარი ნაგავსაყრელზე მივიდნენ, სადაც თავიანთი 12,5 კარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იპოვეს.

დილით ადრე სკატიერიმ სახლის წინ ნარჩენების გადამზიდავი სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც უკვე წასვლას აპირებდნენ, შეაჩერა, რათა კონტეინერში რამდენიმე ქაღალდის ხელსახოცი გადაეყარა. აღმოჩნდა, რომ მათში იყო გახვეული მისი მეუღლის ბეჭედი, რომელიც ქალმა სამზარეულოს მაგიდაზე დატოვა.

ნაგავსაყრელზე მისული ცოლ-ქმარი და ნარჩენების გადამზიდავი სამსახურის მენეჯერი ბეჭდის ძებნას შეუდგნენ. დაკარგული ძვირფასეულობა ძებნის დაწყებიდან 25 წუთში იქნა ნაპოვნი. სკატიერიმ მომხდარს სასწაული უწოდა.

### ემა უოტსონმა რეპისთვის ბიტბოქსი შეასრულა



მსახიობმა ემა უოტსონმა სქესთა თანასწორობაზე რეპისთვის ბიტბოქსი შეასრულა, რომელიც მუსიკოსმა ლინ მანუელ მირანდამ წაიკითხა.

25 წლის მსახიობი პროექტით „ისმისთვის" არის დაკავებული, რომლისთვისაც იქნა გადაღებული ვიდეო რგოლი. პროგრამის მიზანს წარმოადგენს მამაკაცები ჩართონ ქალების უფლებებისთვის ბრძოლაში.

მირანდამ ვიდეორგოლი ფეისბუქში საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა. ჩანაწერი 2,2 მილიონზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

### რუმინელ ტელეწამყვანს მკერდი გამოუჩნდა



რუმინეთში ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხის ამინდის პროგნოზის წამყვანს როქსანა ვანჩას პირდაპირ ეთერში შემთხვევით მკერდი გამოუჩნდა. ეს იმ მომენტში მოხდა, როდესაც მან ადგილზე ხტუნვა დაიწყო.

25 წლის გოგონამ გადაცემის დროს დილის რამდენიმე ვარჯიში შეასრულა და სწორედ ამ დროს გამოუჩნდა მკერდი.

როდესაც მომხდარი ერთ-ერთმა თანაწამყვანმა მამაკაცმა შენიშნა, თვალების წინ ხელები ისე დაიჭირა, თითქოს დურბინდით იყურებოდა, ხოლო მეორე ტელეწამყვანმა მამაკაცმა, უბრალოდ თვალი მოარიდა, სანამ გოგონა ტანსაცმელს გაისწორებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

### ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჩინეთში ტურნირი მოიგო



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჩინეთში საკმაოდ პრესტიჟული ჩელენჯერი მოიგო და რეიტინგში რამდენიმე საფეხურით წინ წაიწია.

ფინალში ნიკამ სლოვაკი ჩოგბურთელი ლუკას ლაცკო დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 6:1, 6:7, 7:5.

ბასილაშვილმა წლევანდელი სეზონი არცთუ კარგად დაიწყო და ვერც დევისის თასზე იყოჩაღა, როდესაც საქართველოს ნაკრებს დანიამ ხუთივე შეხვედრა მოუგო. მიუხედავად ამისა, ჩინეთში გამარჯვება ქართველი ჩოგბურთელისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ბასილაშვილი პირველ ასეულთან ძალიან ახლოს არის და ამჟამად ის 107-ე ადგილზეა. მისი მეტოქე ლუკას ლაცკო კი რეიტინგში 97-ე პოზიციას იკავებს.

### გარეტ ბეილმა ლინეკერს გაასწრო



მადრიდის რეალის უელსელი ფორვარდი გარეტ ბეილი ესპანეთის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბრიტანელი ბომბარდირია.

ბეილმა სევილიასთან 4:0 მოგებულ შეხვედრაში გოლის გატანა შეძლო და მის ანგარიშზე ამჟამად 43 გოლია.

წინა ბრიტანელი ბომბარდირი გარი ლინეკერი იყო, რომელსაც ბარსელონას შემადგენლობაში 42 გოლი ჰქონდა გატანილი.

ლინეკერმა კატალონიურ გუნდში სამი სეზონი გაატარა. რაც შეეხება ბეილს მან ტრავმის გამო თვეზე მეტი გამოტოვა და მისმა არყოფნამ რეალზე ცუდად იმოქმედა. ამჟამად უელსელი ფორვარდი მწყობრშია და ბოლო თამაშებს შედეგიანად ატარებს. სევილიასთან მოგების შემდეგ რეალი მეორე ადგილზე მყოფ მადრიდის ატლეტიკოს მიუახლოვდა და ამჟამად მათ შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა.

### სილვიო ბერლუსკონი მილანის თამაშით უკმაყოფილოა



იტალიური გუნდის მილანის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ თავისი კლუბის თამაშზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მილანის ფეხბურთელებს უკეთესად მართებთ მოედანზე გარჯა.

მილანმა საკუთარ მოედანზე ლაციოს დამარცხება ვერ შეძლო და მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა. ბერლუსკონის აზრით, მსგავსი ქმედება დაუშვებელია და მილანმა თამაშის ხარისხი უნდა გააუმჯობესოს.

ბერლუსკონიმ ასევე ისაუბრა მილანის სერბ მთავარ მწვრთნელ სინიშა მიხაილოვიჩზე და თქვა, რომ მისი ბედი სეზონის ბოლოს გადაწყდება.

30 ტურის შემდეგ მილანს 49 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-6 პოზიციას იკავებს და მეხუთე ადგილზე მყოფ ინტერს 5 ქულით ჩამორჩება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქვით ნაგები ღობე; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 4. ჯავშნიანი ქვეწარმავალი; 5. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 6. აფრიკული შხამიანი ბუზი; 7. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 10. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 11. ომნიბუსის ზედა სართული; 12. უფროსი მღვდელი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 13. ტბა თბილისში; 16. ტრაგედია „ჰამლეტის" პერსონაჟი; 18. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 19. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 24. სპორტული შეჯიბრების არბიტრი.

**თარაზულად:** 1. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 3. იაპონური მოტოციკლეტი; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 9. თავადის ტიტული ინდოეთში; 14. „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი; 15. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 22. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 23. წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 25. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 26. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 27. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 28. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## იუმორი



ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
— გაიგე, ზვიადიმ თავი მოიკლა.
— ისევ?!
— ჩუმად! აგერ მოდის და არ გაიგოს.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
— ჩემ ქმარს ვერ ვიტან.
— ასეთი რა დაგიშავა?
— სულ მატყუებს.
— მაინც რა მოგატყუა?
— მაგალითად, წუხელ ლოგინში ჩამაწვინა, გამხადა და... დღეს პირველი აპრილიაო...

•••

მთიელი მანქანით ხეს დაეჯახა. ექიმი მის ძმებს ეუბნება:
— მისთვის სისხლის აღება საჭირო.
— სისხლი ავიღეთ უკვე!
— კი მაგრამ, როგორ?
— გარშემო რაც ხეები იყო, ყველა დავჩეხეთ!

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:
— ბრალდებულო, რატომ ესროლეთ დაზარალებულს?
— ჩემ ცოლთან დადის.
— მერე, იმის გამო, რომ ერთნაირი გემოვნება გაქვთ, კაცი სასიკვდილოდ უნდა გაიმეტოთ?!

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
— შენი შვილის მათემატიკის ამოცანა ამოხსენი?
— კი, ამოვხსენი.
— გადამაწერინე რა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა